გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 დეკემბერი, 2005 წელი.
№282 (5315)

იმისთანა წმინდა საქმეში, ბოგუტიც ბოჭიტური სიცყვაა, ცყუიოებით და ჭიტებით ბუტთის გაცანა ყუოა უკადბისხიბაზე უხაძაგოესია.

საპარლამენტო რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

„თუ გაფრინდები, ნუღარც მოფრინდები“...

„ერისიონის მოცეკვავეს ჰკითხეს, — როგორ ხარო? — ვარ ასე, ჩვენი პრეზიდენტივით, ვცეკვავ და დავფრინავო“, — უპასუხა.

იხ. მე-2 გვ.

ვეტერანები მშრალ ხიდზე ჯილდოებს ყიდიან!

იხ. მე-2 გვ.

ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, სიცოცხლის ბოლო წლებში „კათარზისში“ სადილობდა

გამოძიება და არა გამოძიება!

გახსენება პარასკევის საკომიტეტო განხილვისა

კანონპროექტის თანახმად, III ჯგუფის ინვალიდებს პენსია არა თუ უმცირდებათ, არამედ, საერთოდ, უუქმდებათ. ინვალიდები ორ კატეგორიად დაიყოფა, III ჯგუფი აღარ იარსებებს, რაკი, ჭიპაშვილის თქმით, ის, ძირითადად, ყალბი საბუთების მქონე პირებს აერთიანებდა.

იხ. მე-3 გვ.

აქცია — სხდომის პარალელურად

გუშინ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგია განიხილავდა საკითხს, მართლა განიცდიდა თუ არა 18 მოსამართლე დისციპლინარულ დევნას. შენობის წინ იმავდროულად აქციას დევიზით „სასამართლოს გადასარჩენად“ მართავდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები. ისინი მიიჩნევენ, რომ მოსამართლეთა წინააღმდეგ ბრალდებები უსაფუძვლოა, ამიტომ კოლეგია ობიექტური ვერ იქნება.

ვრცელ ინფორმაციას ამის თაობაზე რედაქცია უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთის ალყაში მოქცევას ცდილობენ

2 დეკემბერს კიევში გაიხსნა „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის“ საერთაშორისო ფორუმი. ღონისძიება ძალზე წარმომადგენლობითი გამოდგა. მასში მონაწილეობისთვის უკრაინის დედაქალაქში ჩავიდნენ საქართველოს, მოლდავეთის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, მაკედონიის, რუმინეთის, სლოვენიის პრეზიდენტები. ბულგარეთს წარმოადგენდა ვიცე-პრეზიდენტი, აზერბაიჯანს — საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლონეთს კი — სეიმის სპიკერი.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის რიგგარეშე სხდომებს იწვევს

ალნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დეპუტატებს გააცნო.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს პარლამენტს 143 საკითხი აქვს განსახილველი, ზამთრის არდადეგებამდე დარჩენილ ორ საპარლამენტო სხდომაზე კი მათ განხილვას ვერ მოასწრებენ, ამიტომ, ყოველ კვირა პარლამენტის პლენარული სხდომები გაიმართება.

ეს არ ნიშნავს, რომ მთელი კვირის განმავლობაში პარლამენტი პლენარულ სხდომებს გამართავს. მათ კვირაში, შესაძლოა, რამდენიმე დღე დაეთმოს.

საქართველოს პრეზიდენტი თემქის დასახლებაში უმწეობის სასადილოს გახსნას დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, თემქის დასახლებაში უფასო სასადილოს გახსნას დაესწრო.

პრეზენტაციაზე პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ბიზნესმენს, რომელთა შემოწირულობებითაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ახალი სასადილოს ამოქმედება გახდა შესაძლებელი და აღნიშნა, რომ ამ ბიზნესმენებს უახლოეს მომავალში შეხვდება. მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში მათ რიცხვს კიდევ რამდენიმე ათეული მეწარმე შეუერთდება.

მიხეილ სააკაშვილმა სპეციალური დავალება მისცა გლდანი-ნაძალადევის გამგეობას, რომ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში რაიონში მოწესრიგდეს გზები, აშენდეს ახალი მოედნები და განათდეს ქუჩები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი გამგეობის ხელმძღვანელებს თანამდებობიდან გათავისუფლებით დაემუქრა.

გიორგი ბარამიძე აშშ-ში გაემგზავრა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

გიორგი ბარამიძე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილეს მეტ ბრაიზასა და თავდაცვის მდივნის მოადგილე ერიკ ედელმანს შეხვდება. მინისტრი ასევე შეხვედრებს გამართავს სენატორებთან ჩუკ ჰაგელსა და რიჩარდ ლუგართან.

დაგეგმილია სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა მარშალის ფონდის პრეზიდენტ გრეგ კენედისთან. 6 დეკემბერს გიორგი ბარამიძე ატლანტიკურ საბჭოში მიიღებს მონაწილეობას, სადაც ის საქართველოში მიმდინარე რეფორმების, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, რეგიონში არსებული კონფლიქტებისა და მათი მოგვარების სამშვიდობო გეგმის შესახებ ისაუბრებს. სახელმწიფო მინისტრი მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდება.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე საქართველოში 10 დეკემბერს დაბრუნდება.

ინტერპრესნიუსი

ზუგდიდის ბაზარი — პრობლემა უზარმაზარი?!

იხ. მე-4 გვ.

ბაზრის კარის პრობლემა გიგი უგულავას დანატოვარია, რომელიც ვერ გადაწყვიტა მისმა მემკვიდრემ კახა არდიამ. ახლა ჯერი ზაზა გოროზიაზეა. მაგრამ ვინ იცის, ეგებ დღეს-ხვალ უმისოდაც გადაწყვიტოს საოლქო სასამართლომ ეს „უზარმაზარი“ პრობლემა!

◎ პანორამა

* * *

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ევროპულ ტურნეში მიემგზავრება. იგი აპირებს ეწვიოს გერმანიას, რუმინეთს, ბელგიას და უკრაინას. ბრიუსელში რაისი მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტში.

* * *

ვაშინგტონში დააკავეს მამაკაცი, რომელიც აპირებდა თეთრ სახლში შეღწევას. შოუნ კოქსი შეიარაღებული არ ყოფილა, — განაცხადა პრეზიდენტის დამცავი საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელმა. თვით დამრღვევს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე დააკავეს პოლიციელებმა, არ გაუცია პასუხი ჟურნალისტთა კითხვებისთვის და არაფერი უთქვამს თავისი ასეთი საქციელის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

* * *

ბრიტანეთში ამოქმედდა კანონი ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ. ამიერიდან ერთსქესიან წყვილებს ექნებათ ყველა საჭირო იურიდიული წანამძღვარი იმისთვის, რომ მათი კავშირი ჩაითვალოს ოჯახად და მიეცეთ შესაბამისი სახელმწიფო შეღავათები. კანონი ასევე ამარტივებს ადამიანის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში ნათესაური ურთიერთობის აღიარების პროცედურას.

თბილისის მეტრის მიხიგი ათიოდა?

იხ. მე-4 გვ.

თვითმმართველობა — ხელისუფლებისა და ოპოზიციის საჯილდაო ქვა

იხ. მე-3 გვ.

ევროპა და მიგრანტები

გლობალიზაციის ახალ ტალღასთან ერთად იზრდება განვითარებული ქვეყნების თავის ტკივილი არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით. აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოების ლიდერები იძულებული არიან, მეტი ყურადღება დაუთმონ მიგრაციულ პროცესებს.

ეკონომიკური სიდუხჭირის და მძიმე სოციალური პირობების გამო საქართველო არ მიიჩნევა მიგრანტთა საოცნებო ქვეყნად, პირიქით ჩვენი მოქალაქეები სხვას უქმნიან თავსატეხს.

იხ. მე-4-5 გვ.

⊙ მინისტერიალი

მინისტრთა მე-13 შეხვედრა გაიხსნა

სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში გუშინ ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-13 მინისტერიალი გაიხსნა. მასში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის ხელმძღვანელობით საგარეო საქმეთა უწყების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ეუთოს მინისტერიალი მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარე დიმიტრი რუპელმა გახსნა.

როგორც ინტერპრესნიუსს ლუბლიანაში საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენლებმა განუცხადეს, ქართული მხარისთვის ლუბლიანას მინისტერიალი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ხვალ იგეგმება ოფიციალური დოკუმენტების მიღება, რომლის ფარგლებშიც ეუთოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ უნდა განიხილოს სპეციალური განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით.

განცხადებაში გამოხატული იქნება ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს დამოკიდებულება რუსეთის ბაზებთან, ასევე ქართული-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივებთან დაკავშირებით, რომელიც ცხინვალის რეგიონში ეუთოს მანდატის გაფართოებას და აშშ-ის მონაწილეობას ითვალისწინებას.

ლუბლიანაში მინისტერიალის მიერ საქართველოსთან დაკავშირებული განცხადების მიღება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს რუსეთის დელეგაცია, რომელსაც ლუბლიანაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ხელმძღვანელობს.

ქართულ და რუსულ დიპლომატიურ კორპუსებს შორის კონსულტაციები დაიწყო საქართველოზე მინისტერიალის განცხადებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვან პოზიციებს შეაჯერებენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, დაუჭერს თუ არა მხარს რუსეთის დელეგაცია ხვალ ლუბლიანის მინისტერიალის განცხადებას საქართველოზე. იმ შემთხვევაში, თუ ეუთოს წევრი თუნდაც ერთი ქვეყანა უარს იტყვის განცხადების მიღებაზე, იგი დაიბლოკება.

მინისტერიალში ეუთოს წევრი 55 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების გარდა, გაეროს, ევროსაბჭოს, ნატოს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის აქტისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ. აშშ-ის მხრიდან მინისტერიალზე სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ნაცვლად, მისი მოადგილე დევიდ ბერნსი მონაწილეობს.

მინისტერიალის მუშაობა გუშინ დაიწყო და საქმიანობას დღეს გააგრძელებს. მინისტერიალის ორდღიანი მუშაობის შედეგებს ეუთოს „ტროიკა“ დღეს, დღის მეორე ნახევარში შეაჯამებს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროექტი გასულ კვირას პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ბრიუსელში ვიზიტისას ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელობამ მოიწონა. იგივე პროექტი მან ვენაში ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოს წარუდგინა, რომელმაც ასევე მოიწონა იგი.

ინტერპრესნიუსი

⊙ პოზიცია

„თუ გაფრინდები, ნურც მოფრინდები“...

ჯერ ანეკდოტით დავიწყებ: „ერისიონის მოცეკვავეს ჰკითხეს, — როგორ ხარო? — ვარ ასე, ჩვენი პრეზიდენტივით, ვცეკვავ და დავფრინავო“, — უპასუხა.

აქვე ბარემ ერთ მათემატიკურ გამოცანასაც შევადგენ: სუბიექტმა, რომელსაც 24 საათი, კვირაში 7 დღე სამუშაო კაბინეტის კარები გამოკეტილი აქვს და ბრიფინგებს ველ-მინდვრად ან უცხოეთში ატარებს, A პუნქტიდან B პუნქტამდე იფრინა 2000 კილომეტრი, B პუნქტიდან C პუნქტამდე 2-ჯერ მეტი და C-დან D პუნქტამდე კი 2-ჯერ მეტი, ვიდრე, A, B და C პუნქტებამდე ერთად. გამოცანა გვეკითხება: ვინ არის სუბიექტი?

პასუხს ასიდან ასი უშეცდომოდ გეტყვის. ახლა, შალვა ნათელაშვილობაზე თავს ვერ დავდებ და ვერ გეტყვით რამდენი საათი, წუთი და წამი აქვს გატარებული ჰაერში ჩვენს პრეზიდენტს, მაგრამ ძალიან ბევრი რომ აქვს, სწორედ ამაზე ვიშვიშებს ხალხი და ოპოზიცია.

არადა, გვახსოვს, ახალარჩეული ბატონი მიხეილ სააკაშვილი თავიდან სამგზავრო თვითმფრინავით დაფრინავდა, სპეციალურ რეისებს ქვეყნის ფული სჭირდება, მირჩევნია ხალხს მოვახმარო და მე სამოქალაქოთი ვიფრინოო.

მერე, ეტყობა, მან ხალხის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულად ჩათვალა, ქვეყანა — აყვავებულად და თავს იმის ფუფუნების უფლება მისცა, მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად დღეგამოშვებით დასეროს სხვადასხვა ქვეყნის საჰაერო სივრცეები.

ამას წინათ, ლეიბორისტებმა მიხეილ სააკაშვილის გაუთავებელ გადაფრენა-გადმოფრენაზე დახარჯული თანხა გამოთვალეს და აღმოჩნდა, რომ ეს თანხა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიებსაც დანიშნავდა, მიწისძვრისგან დაზარალებული სახლების გარემონტებასაც ეყოფოდა და იქნებ თბილისის გარეუბნებში გზების დასაგებადაც მორჩენილიყო.

იგივე ლეიბორისტების დარად, მთლად თავზე ხელს ვერ ავიღებ და არ ვიტყვი, რომ პრეზიდენტმა კოლოსალური თანხები პლაჟებზე, კაფე-ბარებში და დისკოთეკებზე გართობას დაახარჯა, მაგრამ უცხოეთიდან მიღებული ყველა მიწვევის მიღება აუცილებელი ნამდვილად რომ არის, ამაში ჩვენი ოპოზიციონერები, შეიძლება, მართლები იყვნენ: პრეზიდენტის უცხოური ვიზიტებიდან ნახევარზე მეტი, საქართველოსთვის არაფრის მომტანიაო.

თუმცა, ერთი წუთით თვალი მოვუხუჭოთ პრეზიდენტის დაუსრულებელი მიმოფრენების შედეგად ჰაერში გაბნეულ მილიონებს და მედლის სხვა მხარესაც შევხედოთ: დღეს საქართველოს ისეთი მთავრობა ჰყავს, რომელსაც მუდმივი კონტროლი და თვალყურის დევნება სჭირდება, ეს კი უპირველესად, სწორედ ქვეყნის პრეზიდენტის საქმეა.

აბა, წარმოიდგინეთ დედა, რომელსაც პატარა, ცელქი ბავშვები ჰყავს, სახლში კი არასდროს არ არის.

ახლო წარსულიდან ერთ ფაქტს შეგახსენებთ: გია ბარამიძე და ირაკლი ოქრუაშვილი ერთმანეთს მაშინ სწვდნენ ქეჩოში, როცა პრეზიდენტი ქვეყანაში არ იმყოფებოდა. შინ დაბრუნებულმა მიხეილმა, მოკინკლავე მინისტრებს შერიგება უბრძანა, უმრავი ტელეკამერის წინ ერთმანეთისთვის ხელიც ჩამოართმევინა და თან დააყოლა. ქვეყანა ერთი დღით მივატოვე და ესენი ერთმანეთს ეძგერნენო.

საქართველოში კი სიტუაცია, გვინდა თუ არ გვინდა, ნელ-ნელა იძაბება და განაწყენებულ ხალხსაც ორივე თვალი ქუჩისკენ უჭირავს, დიდმასშტაბიანი აქციების დასაწყებად. ასეთ სიტუაციაში კი გამორიცხული არ არის, ხალხმა პრეზიდენტს ერთი სიმღერა დააწიოს ჰაერში: „თუ გაფრინდები, ნურც მოფრინდები, დელიავ, რანუნი“.

ჯაბა ხუბუა

⊙ ინფორმაცია

აკაკი ბობოხიძე თანამდებობაზე დარჩენას არ აპირებს

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნის მიუხედავად, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის რეგიონში აკაკი ბობოხიძე თანამდებობაზე დარჩენას არ აპირებს.

როგორც აკაკი ბობოხიძემ გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გუშინწინ იგი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს შეხვდა.

— მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ ჩემს მიმართ გამოხატეს, — განაცხადა ბობოხიძემ. მისი თქმით, მას პრეზიდენტმა თანამდებობაზე დარჩენა სთხოვა და განუცხადა, რომ არ აპირებდა განცხადების დაკმაყოფილებას.

როგორც ბობოხიძე აცხადებს, სააკაშვილმა მას მოსაფიქრებლად ერთი კვირის ვადა მისცა, მაგრამ ბობოხიძის თქმით, იგი ამ თანამდებობაზე არ დარჩება. ამ განცხადებას იმიტომ ვაკეთებ, რომ უკან დასახევი გზა მოვჭრა. მთავარი მომენტი ჩემი ამ გადაწყვეტილებისა არის ის, რომ ვერავის მივცემ იმის პირობას, რომ მომავალშიც არ მოვიქცევი ისე, როგორც მაშინ მოვიქეცი,— განაცხადა ბობოხიძემ და დასძინა, რომ იგი დარჩება ქუთაისში და პარტიულ საქმიანობას გააგრძელებს.

რუსეთი მიხეილ სააკაშვილის პროექტს მისაღებად მიიჩნევს

რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პროექტს მისაღებად მიიჩნევს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ თბილისის გეგმებსა და პოზიციებში გარკვევას ცდილობს.

როგორც ინტერპრესნიუსის კორესპონდენტი ლუბლიანადან იუწყება, ამის შესახებ სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში მიმდინარე ეუთოს საგარეო საქმეთა მე-13 მინისტერიალზე ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

ლავროვის თქმით, მოსკოვმა თავის დროზე, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს 59-ე სესიაზე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების სამეტაპიანი გეგმა წარმოადგინა, მხარი დაუჭირა ქართული მხარის ამ პროექტს.

მისივე თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მოსკოვში ვიზიტისას დაარწმუნა რუსეთის ხელისუფლება, რომ სააკაშვილის გეგმაში „სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა და იგი ძალაში რჩება“.

— ჩვენ ვიწონებთ ქართული მხარის მიერ შემუშავებულ სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების პროექტს, მაგრამ თუ ამ პროექტში ქართულმა მხარემ რაიმე ცვლილება შეიტანა, ამ შემთხვევაში ჩვენ გარკვევა გვსურს, — დასძინა ლავროვმა. მას არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რა დეტალები არ მოსწონს რუსულ მხარეს პროექტში, რომლის შესახებაც რუსეთისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებმა კონსულტაციები გაიარეს.

პარლამენტში ნაღმი არ აღმოჩნდა

როგორც ინტერპრესნიუსისათვის გახდა ცნობილი, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მოახსენეს ანონიმური ზარის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტში ნაღმის არსებობას იუწყებოდა. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარეს არ გაუცია განკარგულება შენობის დატოვებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, 10 წუთის განმავლობაში პარლამენტის შენობა ბლოკირებული იყო და შიგნით არავის უშვებდნენ. თუმცა, შენობა არავის დაუტოვებია.

დეტექტორებს გადმოგვცემენ

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე ხვალ აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დელეგაციას მიიღებს.

როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრეს-სამსახურში განუცხადეს, მხარეებს შორის ხელი მოეწერება ხელშეკრულებას „ბირთვული და სხვა რადიაქტიური მასალის უკანონო კონტრაბანდის თავიდან აცილებაში თანამშრომლობის თაობაზე“.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს სასაზღვრო უწყებას რადიაქტიური ნივთიერებების აღმომჩენი დეტექტორები გადმოეცემა, რომლებითაც სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტები აღიჭურვება. ხელშეკრულება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საკონტროლო-გამტარი პუნქტების აღნიშნული დეტექტორებით ეტაპობრივ და სრულ აღჭურვას ითვალისწინებს.

მოძრაობა კვლავ პარალიზებულია

6 თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეების ახლობლებმა გუშინწინ საღამოს ცხედრების დაბრუნების მოთხოვნით სოფელ ქურთასთან გზა გადაკეტეს. ხაჭაპურიძეები აცხადებენ, რომ გზა მანამდე არ გაიხსნება, სანამ არ მოხდება გატაცებულთა ცხედრების დაბრუნება.

უკვე მეორე კვირაა, რაც მათ ცხედრების დაბრუნებაში საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვენ, თუმცა გარანტია მაინც არ არსებობს, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში ცხედრებს ოჯახებს დაუბრუნებენ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ დილით რუსმა სამშვიდობოებმა ორ ადგილას - ცხინვალის გასასვლელში სოფელ თამარაშენთან და დიდი ლიახვის ხეობიდან ჯავის მიმართულების სოფელ ითრაფისთან გზა გადაკეტეს.

სამშვიდობოების მტკიცებით, ამგვარ ღონისძიებას მათ მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების აცილების მიზნით მიმართეს.

ინტერპრესნიუსი

⊙ ყოფა

ვეტერანები მშრალ ხიდზე ჯილდოებს ყიდიან!

„ჯარისკაცები სულ ახლოს იყვნენ, უკვე ვხედავდი მათ ჩაფხუტებს, ფარნების შუქზე აელვებულ ფარებს და ვგრძნობდი, როგორ მიახლოვდებოდა განსაცდელი. ჰაერში საფრთხის სუნი ტრიალებდა, სწორედ ამ დროს შევნიშნე, როგორ გახსნეს გზა ჩიტაძის ქუჩისკენ ჩამწკრივებულმა მილიციელებმა. ხალხის ნაკადი იქეთ დაიძრა და მეც ამ ნაკადს გავყევი... მივხვდი, რომ გადავრჩი!“

9 აპრილის ტრაგედიის მონაწილის ჩანაწერებიდან.

დღეს იმ მილიციელთა უმეტესობა, ალბათ, პენსიაზეა. ახალი კანონების თანახმად, პოლიციელს, თუ მან 20 წელი იმსახურა შსს ორგანოებში, უფლება აქვს, გავიდეს პენსიაზე. ხშირად ის იძულებულია კიდეც, ასე მოიქცეს, რადგან ახალგაზრდები მოდიან და ისინი უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი ადამიანია და მას საარსებო წყარო სჭირდება.

სწორედ პენსიაზე გასულ პოლიციელთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა კავშირი, რომელიც წერეთლის გამზირზე №144-ში მდებარეობს („აბჯარი“ — ასე ჰქვია ამ არასამთავრობო ორგანიზაციას).

— ჩვენი ორგანიზაცია 2000 წლის 4 აპრილს შეიქმნა, გვიამბობს კავშირის თავმჯდომარე იოსებ მესტიაშვილი. — ვეხმარებით როგორც ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ მუშაკებს, ასევე ინვალიდებს, მარჩენალდაკარგულ ოჯახებს. ჩვენი მთავარი მიზანია, მოწესრიგდეს ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ მუშაკებზე პენსიების განაწილება და არ გაუქმდეს გათვალისწინებული შეღავათები.

შემუშავებულია ახალი კანონპროექტი ბატონ ზურაბ ნოღაიდელის ინიციატივით (მაშინ ფინანსთა მინისტრი იყო), რომელიც, სხვათა შორის, პარლამენტმაც განიხილა და რომლის არსსაც ჩვენ არ ვეთანხმებით. მისი ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, ძველი პოლიციელები, რომლებიც 2006 წლიდან გავლენ პენსიაზე, კაბალურ მდგომარეობაში ვარდებიან. გარდა ამისა, კანონპროექტით უქმდება პოლიციელთათვის ადრე მინიჭებული შეღავათები, რაც დაუშვებელია.

რატომღაც, ჩვენს პენსიას კომპენსაციას არქმევენ (მეცნიერ-მუშაკების პენსიას სტიპენდია დაერქვა) პენსია არის დაცული მუხლი და არავისა აქვს უფლება, შეგიწყვიტოს. კომპენსაცია, ან სტიპენდია კი ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს.

არსენ რაზმაძე, — თანათავმჯდომარე: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ მოქმედ ძალოვნებს დიდი ხელფასები მიეცეთ. მათი ცხოვრება ხომ მუდმივი რისკია, მაგრამ პენსიების საკითხიც უნდა მოგვარდეს. უნდა დადგინდეს ზედა ზღვარი, რაც გამორიცხავს საპენსიო თანხების არამართებულ განაწილებას: არ შეიძლება ერთ ადამიანს 1000 ლარი დაენიშნოს, მეორეს კი — 60-65 ლარი.

ხშირად კითხულობენ, რატომ აქვთ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს მაღალი ანაზღაურებაო (სხვებთან შედარებით). ადრე, როცა ოფიცერი მუშაობას იწყებდა, დებდა ხელშეკრულებას, რომელშიც ეწერა, რომ ამ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მას აღარ ეკუთვნის. ჩვენ ყველანაირ ბრძანებას ვასრულებდით, უამრავი საფრთხე გამოვიარეთ და, მგონი, ეს უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომაც.

ტრისტან ვალიშვილი: 40-45 წლის კაცი გადის პენსიაზე. თუ მუშაობა დაიწყო, ის უკვე პენსიას ვეღარ მიიღებს. ვთქვათ, ის ახალი სამსახური დახურეს, გამოდის რომ მას მიზერული პენსიაც აღარ უნდა შერჩეს და იმდენი წლის შრომა წყალში ჩაეყაროს (ცნობისათვის, რიგითის პენსია მხოლოდ 60-65 ლარს უტოლდება)?

მე, მაგალითად, 105 ლარი პენსია მაქვს. ამ თანხას ემატება ომის მონაწილის დანამატი და სხვადასხვა შეღავათები. საბოლოოდ ვიღებ 159 ლარს. გამიუქმებენ ამ შეღავათებს და დამრჩება სუფთა 105 ლარი. გამოდის, რომ ხელფასიდან 75 ლარი ყოველთვიურ გადასახადებზე და აუცილებელ ხარჯებზე წავა (გადასახადებმა თბილისში შეადგინა 75 ლარი, რაიონებში კი — 55 ლარი) რა დამრჩება, თქვენ თვითონ იანგარიშეთ.

სწორედ ამიტომაა, რომ ომის ვეტერანები საკუთარ მედლებს ყიდიან მშრალ ხიდზე, ყოფილი პოლკოვნიკი, ვიცე-პოლკოვნიკი წვრილმანებს ყიდის, რომ ოჯახი შეინახოს.

მე თვითონ მინახავს და ვიცი, რომ ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, სიცოცხლის ბოლო წლებში „კათარზისში“ სადილობდა.

ამას წინათ, ჩემი ყოფილი ლექტორი დავინახე, პროფესორი, იდგა და წიგნებს ყიდდა. თვალი ავარიდე, რომ გული არ სტკენოდა...

მე მხოლოდ მცირე ნაწილი გიამბეთ იმ დღევანდელი საუბრიდან.

ვაკვირდებოდი ამ ადამიანებს და ვხედავდი, რომ ჩვეულებრივ, ყოველდღიური პრობლემებით დამძიმებულ ხალხს ვესაუბრებოდი. ამ ჩვეულებრივ ადამიანებს შვილები ჰყავთ, ოჯახი აქვთ. ოჯახის გამოკვებას კი დღევანდელ პირობებში 60-65 ლარი ეყოფა?

ხათუნა ჩიგოგიძე

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთის ალყაში მოქცევას ცდილობენ

(პირველი გვერდიდან)

ძნელი შესანიშნი არ გახლდათ ის, რომ კიევში შეიკრიბნენ სახელმწიფოთა მეთაურები, რომლებიც სსრ კავშირის ეპოქაში იყვნენ ან საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილები, ან მტკიცედ შედიოდნენ მისი გავლენის სფეროში. მაგრამ რუსეთი ღონისძიებაზე დასასწრებად არ მიუწვევიათ. ეს უკვე თავისთავად იძლევა პასუხს ასეთ კითხვაზე: რისთვის იყო ორგანიზებული ახალი ალიანსი და რა მიზნებს დაისახავს იგი?

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ჩამოაყალიბა თანამეგობრობის მთავარი ამოცანა: „დემოკრატიის მხარდაჭერა ბალტიკიდან კასპიამდე“. „ბალტიკა“ და „კასპია“ აქ ძირითადი სიტყვებია. საკმარისია, თვალი გადავავლოთ რუკას და ყველასთვის გასაგები გახდება, რომ რუსეთი ექცევა მტრულად განწყობილი თუ არა, არცთუ ისე მეგობრული ქვეყნების რკალში, რომელიც გადაიჭიმა რუსეთის დასავლეთიდან სამხრეთ საზღვრებამდე. ყოველივე ეს ძალზე მოგვაგონებს „ბუფერულ სახელმწიფოთა“ სისტემას, რომლებიც გამოჩნდნენ სსრ კავშირის საზღვრების გასწვრივ, გასული საუკუნის 20-იან წლებში. მაგრამ მაშინ დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ კორდონის აღმართვას კომუნიზმის წინააღმდეგ. დღეს რუსეთში დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკაა. მაშასადამე, ამჯერად საქმე აღარ უნდა ეხებოდეს იდეოლოგიურ დაპირისპირებას. ალიანსს აქვს აშკარად გამოკვეთილი ანტირუსული მიმართულება. მით უმეტეს, რომ მისი მონაწილეები ან უკვე შედიან ევროკავშირის და ნატოს შემადგენლობაში, ან ყოველმხრივ ცდილობენ იქ მოხვედრას. ასე რომ, დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის გამოთვლა, თუ როგორ პოლიტიკას განახორციელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ იუშჩენკო-სააკაშვილის თანამეგობრობა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ თანამეგობრობის დამფუძნებელი ქვეყნები, რომლებიც ჯერჯერობით რჩებიან დსთ-ს წევრებად, ამ ორგანიზაციის დატოვებას სულაც არ აპირებენ. ეს გასაგებიც არის. მართლაც, რატომ უნდა თქვან უარი იმ სარგებელზე, რომელიც მათთვის მოაქვს დსთ-ს წევრობას, მაგალითად, გაზის მიღება შეღავათიანი ფასებით.

რუსეთი რთულ სიტუაციაში ექცევა. აშკარაა, მას ძალზე სჭირდება თავისი ყოფილი მოკავშირეებისა და სატელიტების მიმართ ახალი, ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება. პირველი ეტაპისთვის კი, ალბათ, საჭიროა, ხელი ავიღოთ იმათ სუბსიდირებაზე, რომლებიც ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები არ არიან. გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ამ ფულს მოვახმართ ჩვენს — რუს პენსიონერებს.

სერგეი იურიევი

ПРАВДА

საკუთარი თავისთვის წაყენებული ულტიმატუმი

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ეს რაღაც დივერსიაა: თავისი თავმჯდომარეობა „რვა დიდი ქვეყნის“ კლუბში რუსეთმა გადაწყვიტა დაიწყოს იმით, რომ შეუქმნა საფრთხე ევროპაში გაზის მიწოდებას. ალბათ, ახლა სულ უფრო ხშირად დასვამენ კითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართლზომიერია ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების კლუბში.

აქამდე რუსეთის თავმჯდომარეობა ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ კლუბში საკმაოდ უპრობლემოდ მზადდებოდა. ყოველ შემთხვევაში, კრემლმა საღად შეაფასა კლუბში გაწევრიანებული პარტნიორების ინტერესები და თავისი შესაძლებლობები. და ამიტომაც, თავისი თავმჯდომარეობის მთავარ თემად აირჩია ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები. რა მოხდა — ევროპელები, რომლებმაც იცოდნენ, რომ ამ ქვეყნად თუ არის რაიმე სტაბილური, ეს არის რუსული გაზის მიწოდება, ახლა იძულებული გახდნენ თავი იგრძნონ რუსეთ-უკრაინის გაზის ურთიერთობის მძევლებად. და ყოველივე ეს მოხდა ევროპასა თუ ამერიკაში, ვლადიმერ პუტინის არაერთი გამოსვლის შემდეგ, რომელიც მუდამ ცდილობდა, გაესვა ხაზი იმისთვის, რომ რუსეთი ძალზე საიმედო პარტნიორია ენერგეტიკულ სფეროში...

უკრაინა, რომლის ტერიტორიაზეც გაედინება დასავლეთის მიმართულებით ექსპორტირებული ბუნებრივი აირის ლომის წილი, უარს აცხადებს მიიღოს „გაზპრომის“ მიერ უკრაინისთვის და დსთ-ს წევრი კიდევ ზოგიერთი სახელმწიფოსთვის წაყენებული ულტიმატუმი. ყველა ამ ქვეყანას სთავაზობენ გამჭვირვალე საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას და მიწოდებული ბუნებრივი აირისთვის იმდენივე თანხის გადახდას, რამდენსაც იხდიან მათი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებსაც თავის დროზე არ ჰქონიათ სსრ კავშირის რესპუბლიკებად ყოფნის ბედნიერება. „გაზპრომის“ მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივები არავისთვის არ არის დასამალი. ისიც ნათლად ჩანს, რომ გადაწყვეტილება მიიღეს არა „გაზპრომის“ ხელმძღვანელობაში, არამედ კრემლის მთავარ კაბინეტში.

საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოების ხელმძღვანელები შეურიგდნენ გარდუვალს, და ახლა იძულებული იქნებიან მიიღონ მათთვის წაყენებული ყველა პირობა. მაგრამ უკრაინას აქვს დავის გაჩაღებისთვის საჭირო არგუმენტები. კიევის ნება-სურვილზე „გაზპრომი“ თითქმის ისევეა დამოკიდებული, როგორც უკრაინელი მომხმარებელი რუსულ გაზზე. საქმე ის არის, რომ საექსპორტო მოცულობათა დაახლოებით 80 პროცენტი დასავლეთ ევროპაში იგზავნება იმ ქსელების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის საკუთრებად იქცა. 5 დეკემბერს მოსკოვში უნდა გაიმართოს მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, მაგრამ სასიკეთო შედეგის მიღწევის შანსი ჯერჯერობით მინიმალურია.

რა თქმა უნდა, შეფერხებები გაზის მიწოდებაში არ მოხდება. ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს ვერც რუსეთი და ვერც უკრაინა, ქვეყანა, რომელიც ცდილობს გახდეს ევროპელი. თუ ახალი წლის წინა ღამეს მაინც შეძლებენ „გაზპრომი“ და უკრაინის „ნავთობგაზი“ კონტრაქტების ხელმოწერას, მაშინ ევროპას შეუძლია მშვიდად იძინოს.

მაგრამ მოლაპარაკების ირგვლივ ატეხილი სკანდალური აჟიოტაჟი არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ მოსკოვმა ნებაყოფლობით თქვა უარი საგარეო პოლიტიკის ისეთ ქმედით ბერკეტზე, რომლის გამოყენებაც ძალზე ხელსაყრელი იყო მისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებთან ურთიერთობაში. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამ სახელმწიფოთა ეკონომიკების სუბსიდირება მიწოდებული გაზის ფასის შემცირების მეშვეობით, ვისიმე კეთილი ზრახვების გამო არ კეთდებოდა. ყოველივე ეს ხორციელდებოდა სავსებით პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. მეზობლებისთვის ნედლეულის შეღავათიანი ფასებით მიწოდებისას მოსკოვი ყველას უჩვენებდა, რომ ჩვენ კვლავ ვრჩებით ერთ დიდ ოჯახად. სინამდვილეში კი, კრემლი ასეთი გზით ცდილობდა დაეტოვებინა თანამეგობრობის წევრი ქვეყნები თავისი პოლიტიკური გავლენის ორბიტაზე და ამ დიპლომატიურ ვაჭრობაში იყენებდა კოზირად გაზის სუბსიდირებას. თუ რით დასრულდა ყოველივე ეს, ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

როგორც ჩანს, კრემლში შეიგნეს, რომ მეზობლების მიმართ ასეთი პოლიტიკის განხორციელება არამომგებიანია. ხოლო, თუ ეკონომიკური სუბსიდირების მექანიზმი აღარ მოქმედებს, რუსეთმა რატომ უნდა განიცადოს ზარალი? სინამდვილეში კი, ის, რომ მოსკოვმა ხელი აიღო ამ ქმედით ბერკეტზე, სიმბოლურად მიანიშნებს, რომ თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა საბოლოოდ მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა (ტარიფი შენარჩუნებულია მხოლოდ ბელორუსიისთვის). „გაზპრომის“ ულტიმატუმის ფასი დაახლოებით 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. ასეთი რაოდენობის დამატებით სახსრებს მიიღებს გაზის მონოპოლისტი უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისგან, თუ კონტრაქტები ხელმოწერილი იქნება მის მიერ შეთავაზებული პირობების გათვალისწინებით.

ანდრეი დენისოვი

5 დეკემბერი.

ВРЕМЯ

კანონმდებლები

გამიშვი და არ გამიშვებ!

გახსენება პარასკევის საკომიტეტო განხილვისა

***პარლამენტის** ჯანდაცვის საპროცედურო საკითხთა კომიტეტების პარასკევის გაერთიანებულ სხდომაზე უმრავლესობა და ოპოზიცია დიდხანს უმტკიცებდნენ ერთმანეთს, არა თქვენ ტყუით და არა — თქვენო. ამას დიდი გაწევ-გამოწევაც მოჰყვა, თუმცა, მანამდე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მშვიდ გარემოში წარმოადგინა კანონპროექტი. ოპოზიციის წარმომადგენლები საპოლემიკოდ იყვნენ დამუხტულნი. როგორც იცით, პარლამენტთან მათ მიერ ორგანიზებული პენსიონერთა მიტინგიც გაიმართა. ლადო ჭიპაშვილმა სწორედ ამის გამო დაიწყო კანონპროექტის პრეზენტაცია იმის აღნიშვნით, პენსიების შემცირებაზე საუბარი უადგილოაო. მისი თქმით, პენსია მხოლოდ იმ პირებს უმცირდებათ, რომლებიც ათას ლარზე მეტს იღებდნენ, სხვებს კი, პირიქით, ეზრდებათ. მაგალითად, 28-ლარიანი პენსიის ნაცვლად მოქალაქეები 38 ლარს მიიღებენ, შეზღუდულუნარიან პირებს 7 ლარი ემატებათ, უშიშროების სამინისტროდან დათხოვნილების 101-ლარიანი პენსია 57 ლარით იზრდება, გარკვეული თანხა ემატებათ თავდაცვისა და შსს-დან დათხოვნილ პირებს (ამავე დროს, პროკურატურიდან დათხოვნილთა პენსია მცირდება)... ჩამონათვალი ამით არ სრულდება, პენსიების გაზრდის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებოდა, რომ არა კანონპროექტის სხვა მუხლები.*

სანამ ოპოზიციისა და პენსიონერების ძირითად პრეტენზიებს შევეხებოდეთ, ისიც ვთქვათ, რომ კანონპროექტის თანახმად, III ჯგუფის ინვალიდებს პენსია არა თუ უმცირდებათ, არამედ, საერთოდ, უუქმდებათ. ინვალიდები ორ კატეგორიად დაიყოფა, III ჯგუფი აღარ იარსებებს, რაკი, ჭიპაშვილის თქმით, ის, ძირითადად, ყალბი საბუთების მქონე პირებს აერთიანებდა.

— კარგია, რომ უქმდება, რაკი ინ-

მის უკმაყოფილებას დავით ბერძენიშვილიც შეუერთდა: — დღეს საქართველოში 60 წლის ადამიანები, ძირითადად, უმუშევრები არიან. ამას ემატება ისიც, რომ ქალთა საპენსიო ასაკის 65 წლამდე გაზრდით მათ კიდევ 5 წლით წირავთ უპენსიობისთვის, შიმშილისთვის.

ეს არგუმენტი საპარლამენტო უმრავლესობას არ აკმაყოფილებს. არც ის მოსწონს, წინასაარჩევნო დაპირებებს რომ ახსენებენ.

ვალიდობის III ჯგუფი ფორმალური იყო, შეიძლება, ფილტვების ანთების შემდეგ დარჩენილი მოვლენების გამო ამ ჯგუფში მოხვედრილიყო ადამიანი. მე, ალბათ, ინვალიდობის უფრო მაღალ კატეგორიაში გავდივარ, — „აღიარა“ ხათუნა გოგორიშვილმა.

კობა დავითაშვილი იმ „ქალთმოძულე“ ავტორის ვინაობით დაინტერესდა, ვინც ქალთა საპენსიო ასაკის ხუთი წლით გაზრდა ჩათვალა საჭიროდ. კონსერვატორთა ლიდერს არც ის გამოურიცხავს, შეიძლება იმავე ავტორის ინიციატივა იყოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად ქალის ორსულობის მიჩნევაო.

— ამ კანონით სრულდება ჩვენი ერთობლივი დაპირება, რომლის თანახმადაც, მოსახლეობას პენსიებზე დანამატი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით უნდა მიეღო? — ლადო ჭიპაშვილს ჰკითხა ყოფილმა ნაცმოძრაობელმა დავითაშვილმა.

— რა გამოძრავებთ, როცა ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებთ და ხალხის მდგომარეობას აუარესებთ? — ოპოზიციონერთა ეს შეკითხვები ჭიპაშვილმა დემაგოგიურად მიიჩნია და არ უპასუხა.

გიგა ბოკერიამ „დემაგოგიის თემა“ განავრცო და ისეთი ადამიანებისთვის, რომელთა კითხვის არსს ერთ დღეში საქართველოს შვეიცა-

რიად ვერგადაქცევის გამო უკმაყოფილების გამოხატვა შეადგენს, „ცალკე სემინარის“ ჩატარებაც არ გამორიცხა. თვითონ კი არანაკლებ რიტორიკული შეკითხვა დასვა, რათა კანონპროექტის პროგრესულობისთვის გაესვა ხაზი:

— ბატონო ლადო, მოსახლეობის რამდენი პროცენტის მდგომარეობა უმჯობესდება და რამდენის — უარესდება წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით?

ხელისუფლების მტკიცებით, ციფრები შთამბეჭდავია, მაგრამ ოპოზიციას და პენსიონერებს არ სჯერათ. სიტყვა დემაგოგიამ ისევ გაიჟღერა, ამჯერად — ჭიპაშვილის, გიგი წერეთლისა და სხვების მისამართით. იმდენი იძახა კობა დავითაშვილმა, დემაგოგები ხართო, დერეფანში გასულმა გიგა ბოკერიამ გაიგონა და დარბაზში შემოვარდა. პოლემიკა სწორედ ამ დროს გადაიზარდა გაწევ-გამოწევაში. ბოკერიას შეძახილები არ მოეწონა დავითაშვილს და ცხვირ-პირის მონგრევით დაემუქრა.

მოდიო, — შესთავაზა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა და კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეც წამოვიდა...

ვინ — დავითაშვილს აკავებდა, ვინ — მის გაძევებას ითხოვდა, ვინ — პროვოკაცია არისო, — ყვიროდა... ჩოჩქოლში ბევრს ვერაფერს გაარკვევდით. ტიპური საპარლამენტო აყალმაყალი იყო. კობა დავითაშვილი ბოკერიამდე არ მიუშვეს, ეს კია, შეჰპირდა, არაკაცი ვიყო, თუ რაც ვთქვი, არ აგისრულოო. მაგრამ ეს — სამომავალოდ.

ასე იყო თუ ისე, სიტუაცია ჩაცხრა. მართალია, მეგი გოცირიძე ითხოვდა, კონსერვატორთა პროკოვატორ ლიდერს სხდომა დაატოვებინეთო, მაგრამ გიგი წერეთელმა იუარა, — ამას ვერ მოვთხოვ, ისე კი მის ადგილზე მე თვითონ წავიდოდიო. დავითაშვილს წასვლაზე არც უფიქრია — ასეთ საჩუქარს ვერ მოგართმევთო.

ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებდა ხათუნა გოგორიშვილი — სამწუხაროდ, პარლამენტში შემოსვლისას მხოლოდ იმას ამოწმებენ, იარაღი ხომ არ აქვს თან, ფსიქიკურ მდგომარეობას კი ვერ ამოწმებენო. დავითაშვილმა ეს სიტყვები შეურაცხყოფად მიიჩნია, მაგრამ, ეტყობა, მაინც ქალის პატივისცემამ იძალა და უბრალო შეპასუხებით დაკმაყოფილდა.

ცოტა ხანში დაპირისპირებამ ქალთა „ბრძოლის ველზე“ გადაინაცვლა. ერთმა ქალბატონმა ოპოზიციის და პენსიონერების მიმართ არცთუ მოსაფერებელი სიტყვების მთქმელ მაია ნადირაძეს წარსული შეახსენა. უმრავლესობის ლიდერის აზრით, კანონპროექტს ის კარგის ვერდამნახავი ხალხი შეეწინააღმდეგა, ვისაც შევარდნაძის ხელისუფლება მოსწონდა. აბაშიძესთან ვინ იყოო? — შემოაძახა ქალბატონმა. დარბაზში დაწყებული დაპირისპირება დერეფანში გაგრძელდა.

კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ რამდენიმე საათი გასტანა. მხარეებმა პოზიციები არ დათმეს. კონსერვატორთა ლიდერები დაწყებული გამაფრთხილებელი აქციების ფართომასშტაბურობით იმუქრებიან.

რუსუდან გახარია

აქტუალური თემა

სად ჩვენ და სად — იტალია?

კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, რომელიც პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში უკვე განიხილეს, სასამართლო ხელისუფლებას ეხება.

ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ოპოზიციისთვის განსაკუთრებით მიუღებელია იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშვნის წესზე. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ვარიანტის მიხედვით, ოპოზიციის აზრით, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი ირღვევა. კერძოდ, თუ დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავდა პრეზიდენტი, სამს — პარლამენტი და სამს — სასამართლო ხელისუფლება, შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, ცხრავე წევრს ფაქტობრივად პრეზიდენტი დანიშნავს.

კახა კუკავა, „დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი:

„ამ ცვლილებებით საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის ად-

მინისტრაციის ერთ-ერთ ქვეგანყოფილებად გარდაიქმნება და რეალურად მის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადავა. არ შეიძლება, რომ ყოველივე ამას ჯანსაღმა ადამიანმა დადებითად შეხედოს. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით უარყოფითი შენიშვნები უკვე გამოთქმული აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების მიმართ იმდენი უარყოფითი შენიშვნა მზადდება ევროპის საბჭოში და ახლა უკვე ეუთოშიც, რომ აზრი აღარა აქვს, რას გააკეთებენ დამატებით. ამ ხელისუფლებას, სამწუხაროდ, ევროპაში ისეთივე იმიჯი ექნება, როგორიც ბატონ ლუკაშენკოს აქვს“.

კანონპროექტში წერია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატებს წარადგენს პრეზიდენტი და ნიშნავს პარლამენტი. უმრავლესობის განმარტებით, ამგვარი პრაქტიკა არსებობს თითქმის ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში.

მაგრამ ჩვენ ხომ არ ვგავართ იმ ქვეყნებს და, მით უმეტეს, იტალიას? გაუჩნდება კი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მქონე ჩვენს პარლამენტს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების დაუმტკიცებლობის სურვილი?

ძალიან საეჭვოა.

მზია გელენავა

გვეხმაურებიან

მინისტრი თვითონ არ უნდა იწმენდდეს ფეხსაცმელს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის განცხადება (უფრო სწორედ, საყვედური) იმის თაობაზე, რომ მინისტრები ტელეფონებზე არ პასუხობენ, ანუ ამრიგად ისინი ხალხს დაშორდნენ, სწორად არ მიგვაჩნია.

გახსოვთ ალბათ ამის საპასუხოდ, ჯანმრთელობის დაცვის და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა დაითვალა, რომ იმ დღეს, როდესაც პრეზიდენტმა ეს განცხადება გააკეთა, მის ფიჭურ ტელეფონზე ათობით ზარი იყო და მინისტრმა მათ ნახევარს უპასუხა, ანუ, ნახეთ ტელეფონის ზარების პასუხებში, რა აქტიური ვარ და პრეზიდენტის შენიშვნა მე არ მეხებაო.

მიმაჩნია, რომ არც ამ საკითხისადმი ბატონ ლადოს მიდგომა უნდა იყოს სწორი.

ამასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანა მახსენდება. მაშინ ჩემი კოლეგა და მეგობარი, უაღრესად პატიოსანი კაცი გივი თაქთაქიშვილი უმაღლესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ერთხელ მაშინდელი საზოგადოება „ცოდნის“ საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ ხალხს შეხვდა და იმის დამამტკიცებელ არგუმენტად, თუ რა მუხლჩაუხრელად მუშაობდა და რა მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხალხთან, განაცხადა: მე მაგალითად, გუშინ მთელი დღე იმაში დავხარჯე, რომ გლდანში ერთი უსახლკარო ოჯახი მოვინახულე და შემდეგ აღმასკომში ვუშუამდგომლე, მათთვის ბინა გამოეყოთო.

თბილისში, ჩვენდა სამწუხაროდ, უამრავი უსახლკარო ოჯახია (საქართველოში კიდევ უფრო მეტი). თუ ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი, როგორიც მინისტრი ან პარლამენტის კომიტეტის ხელმძღვანელია, მათი ბინებით დაკმაყოფილებით ამ სახით დაკავდება, მაშინ რეფორმების გატარებასა და მათი განხორციელების კონტროლზე ვიღამ უნდა იფიქროს?! მინისტრსა თუ პარლამენტის კომიტეტის ხელმძღვანელს რეფორმების განხორციელების გზით ბინათმშენებლობისა და ბინების განაწილების ისეთი სისტემის შექმნა ევალება, რომ მათ ამ მიზნით ოჯახ-ოჯახ თუ საკრებულოებში სიარული აღარ დასჭირდებათ.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მახსენდება, რომელიც ნათელს გახდის ჩემი მოსაზრების სისწორეს.

თურმე ინგლისში რომელიღაც მინისტრი გამოსულა და თავისი „დემოკრატიულობით“ თავი ასე მოუწონებია: აი, მე ფეხსაცმელსაც კი ყოველ დილით თავად ვიწმენდო. ვიღაცას შენიშვნა მიუცია, ჩვენ ამდენ ხელფასს ფეხსაცმლის წმენდაში როდი გიხდითო.

გრიგოლ ამბროსიშვილი

ინფორმაცია

მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციას ელოდება

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციას არც მიმდინარე კვირას გამორიცხავს.

როგორც გუშინ ჟურნალისტებს მაჭავარიანმა განუცხადა, თბილისის საკრებულოში 2 დეკემბერს „კონსერვატორები“ საჩხუბრად მივიდნენ.

„მართალია, თბილისის საკრებულოს სხდომა საჯაროა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს ზვიად ძიძიგური არც ერთი რაიონის მაჟორიტარი არ არის. რაც შეეხება საკრებულოს სხდომაზე მყოფ პირებს, ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი აქტივისტები, ამჟამად კი თბილისის საქალაქო სამსახურების თანამშრომლები არიან“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი თქმით, მიმდინარე კვირას პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციები არ გამოირიცხება, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის მიზანია დაიწყოს 2006 წლის გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და პენსიების რეფორმასთან დაკავშირებით მომზადებულ კანონპროექტებზე მსჯელობა.

მიხეილ მაჭავარიანი კობა დავითაშვილის მიერ 2 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებასაც პასუხობს.

კობა დავითაშვილმა 2 დეკემბერს განაცხადა, რომ იგი აპირებს ამომრჩევლის დაკვეთა შეასრულოს და გიგა ბოკერია სცემოს.

„ჩხუბი მორევაზეა, ამიტომ დავითაშვილს ამგვარი განცხადების გაკეთებას არ ვურჩევ“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

სალომე ზურაბიშვილის კომენტარი

„იგორ გიორგაძეს სრული უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე. ჩემთვის მისაღებია ყველაფერი, რაც თავისუფალ აზროვნებას ეხება“, — ასეთი კომენტარი გააკეთა საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, უშიშროების ექს-მინისტრ იგორ გიორგაძის გუშინდელ განცხადებაზე.

— იგორ გიორგაძემ როგორც ჩანს არ იცის, რომ მე არა მხოლოდ ამერიკელების და ევროპელების, არამედ რუსეთის, პირველ რიგში კი ქართველი ხალხის კანდიდატი ვარ და მე ჩემს ხალხს ვემსახურები“, — განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბრისას სალომე ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ამ ეტაპზე მის მთავარ მიზანს საზოგადოებრივი მოძრაობის გაძლიერება წარმოადგენს.

გუშინწინ ერთ-ერთი რუსული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში იგორ გიორგაძემ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი დიდი მხარდაჭერით სარგებლობს მოსახლეობაში და იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეალური კონკურენტია.

შეღავათების დაწესებას მოითხოვენ

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (უსინათლოები) დედაქალაქის მთავრობას დახმარებას სთხოვენ და მეტროპოლიტენით მგზავრობისათვის შეღავათების დაწესებას მოითხოვენ. ამ მიზნით, მათ მერიის შენობის წინ გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს და ქალაქის მერიასა და საკრებულოს დახმარების თხოვნით მიმართეს.

როგორც ინტერპრესნიუსს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, უსინათლოთა კავშირის ხელმძღვანელმა რეზო მაისურაძემ განუცხადა, ქალაქის მთავრობას კარგად აქვს პრობლემა მოგვარებული ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ტრანსპორტზე. „ჩვენ შეგვიძლია, მუნიციპალური ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით უფასოდ გადავაადგილდეთ დედაქალაქში, რაც შეეხება მეტროს, იძულებულები ვართ მეტროპოლიტენის კოდირებული ბარათები ვიყიდოთ, რომელშიც ქალაქის მერია თითო ბარათში 150 ლარს იხდის, ხოლო შემდეგ 30-40 ლარად იყიდება“, — განაცხადა მაისურაძემ.

მისი თქმით, ქალაქის მთავრობას ისინი მეტროპოლიტენის ბარათების დამზადების სანაცვლოდ უფრო კარგ წინადადებას სთავაზობენ, კერძოდ, პენსიონერებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ მეტროში სპეციალური გასასვლელით სარგებლობის უფლება.

ქუთაისში ბენზინგასამართი სადგურები დალუქეს

ქუთაისში ფინანსურმა პოლიციამ გუშინ 5 ბენზინგასამართი სადგური, 1 ნავთობბაზა და 3 სურსათის საწყობი დალუქა.

წინასწარი მოკვლევით შემოწმებულ ობიექტებში აღურიცხავი პროდუქცია აღმოჩნდა, რის გამოც თითოეულის მიმართ საჯარიმო სანქციები განისაზღვრება.

როგორც ინტერპრესნიუსს იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსმა ლევან კიკნაველიძემ განუცხადა, ქუთაისში ბენზინგასამართ სადგურებზე რეიდები ერთი თვის მანძილზე გაგრძელდება. დალუქული ობიექტები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაიხსნება.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

კიდევ ერთი გადამცემი ხაზი

საქართველოს ენერგოსისტემას რუსეთთან კიდევ ერთი გადამცემი ხაზი დააკავშირებს.

როგორც ინტერპრესნიუსს „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განუცხადეს, უკვე დასრულდა 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალის“ აღდგენა, რომელიც რუსეთის ტერიტორიიდან, ქვესადგურ „ეზმაჰესიდან“ გამოდის და საქართველოს ტერიტორიაზე 110-კილოვოლტიან ქვესადგურ „ყაზბეგს“ უკავშირდება.

“აღნიშნული ხაზის აღდგენით საქართველოს ენერგოსისტემას დამატებითი რესურსი გაუჩნდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განსახორციელებლად. „დარიალის“ ექსპლუატაციაში გაშვებით მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება“, - განაცხადეს „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“.

ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალის“ რამდენიმე ანძა გაძარცვული იყო, მოპარული იყო კონსტრუქციის კუთხოვანები, რასაც თან დაერთო მდინარე თერგზე მომხდარი წყალდიდობა. ამის შედეგად ორ ანძას საძირკველი გამოერეცხა, რასაც მათი წაქცევა მოჰყვა. 2005 წლის სექტემბრიდან, 3 თვის განმავლობაში, კონტრაქტორ შპს.

„ელექტრომონტაჟმშენის“ საავარიო ბრიგადები ადგილზე აწარმოებდნენ აღდგენით სამუშაოებს.

2 დეკემბერს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფმა ხაზზე შესრულებული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, შედგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შესაბამისი სამსახურების შეთანხმებით, ელექტროგადამცემი ხაზი „დარიალი“ ძაბვის ქვეშ დადგა.

ინტერპრესნიუსი

კანონპროექტი

თვითმმართველობა — ხელისუფლებისა და ოპოზიციის საჯილდაო ქვა

ეფექტიანი თვითმმართველობა დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი რომ არის, ამის მტკიცება შორს წაგვიყვანს. აქ უბრალოდ მინდა ერთგვარად შევაფასო თვითმმართველობის მიერ განვლილი გზა და დღეს არჩეული თვითმმართველობის ხელმძღვანელთა აზრიც გაგაცნოთ.

1998 წელს ქვეყანაში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები მსოფლიო საზოგადოებრიობამ, უცხოელმა ექსპერტებმა მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნიეს და ერთხმად უწოდეს დიდი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისაკენ. მოსახლეობის მიერ თავისი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევა, მართლაც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე.

1998 წელს არჩეულმა საკრებულოებმა თავიანთი საქმიანობით ცენტრალურ ხელისუფლებას ბევრი პრობლემა შეუქმნეს. გავიხსენოთ ზესტაფონის, რუსთავის, ზუგდიდის და ხარაგაულის საკრებულოების მიერ მრავალგზის მიღებული დადგენილებები, როდესაც იმპიჩმენტი გამოუცხადეს მმართველობის ადგილობრივი რგოლების ხელმძღვანელებს (გამგებლებს), თუმცა მათი ცდები უშედეგოდ დამთავრდა: მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, არც ერთი იმპიჩმენტგამოცხადებული ხელისუფალი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა თვითმმართველი რგოლების აქტიურობის მწარე გამოცდილება და 2001 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის კანონში „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ“ უამრავი ცვლილება და დამატება შეიტანა (ის მხოლოდ დიდ ქალაქებში ჩატარდა), რაიონული საკრებულოები კი ამ რაიონში შემავალი სოფლის საკრებულოთა თავმჯდომარეებით დაკომპლექტდა, რომელთაგან ერთ-ერთსაც ქვეყნის პრეზიდენტი რაიონის გამგებლად ნიშნავდა. ეს ქვეყნის ხელისუფლების მიერ კანონის საკუთარ თავზე მორგების კლასიკური მოდელი იყო, ვინაიდან 2001 წელს იმის საშიშროება გამოიკვეთა, რომ პირდაპირი გზით თვითმმართველობის არჩევით ხელისუფლება ქვეყნის მასშტაბით ოპოზიციურ თვითმმართველობას მიიღებდა. იმდროინდელი ოპოზიციის წარმომადგენლები საკმაოდ კრიტიკულ განცხადებებს აკეთებდნენ და მერებისა და გამგებლების პირდაპირი გზით არჩევას გადაჭრით მოითხოვდნენ. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყანა შეუერთდა ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელსაც სტრასბურგში 1985 წელს მოაწერეს ხელი ევროპის ქვეყნებმა.

ქართული თვითმმართველობა ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. უამრავი დონორი ორგანიზაციის აქტიურობის მიუხედავად, თვითმმართველობის განვითარების გზაზე მთავარ პრობლემად მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა რჩება. ძირითადად პრობლემას ქმნის კანონის უქონლობა ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

აი რას ამბობს ამის შესახებ **ქ. ბორჯომის გამგებელი ბესიკ ფოფხაძე:**

ადგილობრივ საკრებულოს ბიუჯეტის დამტკიცებასა და მასში ცვლილებების შეტანის ექსკლუზიური უფლება უნდა ჰქონდეს. ადგილობრივი ბიუჯეტი მთლიანად დამოუკიდებელი უნდა იყოს, არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს არანაირ გარე კონტროლს. აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე, ხოლო სახელმწიფო მონიტორინგს უნდა ატარებდეს მხოლოდ მიზნობრივი ტრანსფერების დელეგირებული ფუნქციების განხორციელებისთვის გადაცემულ თანხებთან დაკავშირებით.

დღეისთვის კვლავ ოპოზიციის და ხელისუფლების საჯილდაო ქვად რჩება კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ოპოზიცია ისევ მოითხოვს მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას, ხოლო ხელისუფლებას მოჰყავს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითი, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები პირდაპირი წესით არ არიან არჩეული.

ახალციხის გამგებელი თამაზ პეტრიაშვილი:

ახალი კანონპროექტის მეშვეობით საბოლოოდ, ალბათ, სრულყოფილ თვითმმართველობას მივიღებთ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია ითვალისწინებს მერი პირდაპირი გზით იქნება არჩეული თუ საკრებულოდან, ორივე მიმართულება დემოკრატიული და ევროპის ქვეყნებში აპრობირებულია. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას სრული უფლება აქვს, პრიორიტეტი თვითონ განსაზღვროს. დარწმუნებული ვარ, გაისად ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები ქვეყანაში სრულყოფილ თვითმმართველობას დაამკვიდრებს.

ხათუნა ვარდოსანიძე

სიახლე

დიდი ენციკლოპედია... პირველად

ახლახან გაიმართა კავკასიის დიდი ენციკლოპედიის I ტომის — „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის პირველი სხდომა. კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ ცნობილი მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. (ენციკლოპედიის გამოცემის ორგანიზატორი — ოფიციალურ გამოცემათა სამსახურის — საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკის უფროსი ზურაბ ჯიბლაძე).

გათვალისწინებულია, ენციკლოპედია გამოიცეს 14 თემატურ ტომად რუსულ და კავკასიურ ენებზე. ცალკე წიგნად გამოვა კავკასიელ ხალხთა უნიკალური ლექსიკონი 12 ენაზე, რომელსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიო პრაქტიკაში.

კავკასიის დიდი ენციკლოპედიის I ტომის — „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა ხაზი გაუსვა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეს ეროვნებათშორისი პროექტი, აღნიშნა, რომ მისი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნების სულიერ აყვავებას, მოძმე ხალხთა შორის მეგობრული კავშირ-ურთიერთობის აღდგენასა და დამკვიდრებას, საერთო კავკასიური სახლის მშენებლობას.

პეტრე პავლიაშვილი

⊙ სიტუაცია

ზუგდიდის ბაზარი — პრობლემა უზარმაზარი?!

გიგი უგულავას გუბერნატორობისას ზუგდიდში ბევრი რამ კარგი დაიწყო და გაკეთდა, მაგრამ ერთმა არასწორმა გადაწყვეტილებამ — ბაზრის ცენტრალური შესასვლელი კარის გადაკეტვამ, მოქალაქეების პირადი სახსრებით აშენებული მაღაზიების დანგრევა-აღებამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა და საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ბუნებრივია, ყოველივე ეს მოვაჭრეთა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა უსასრულო აქციების, რაიონულ და საოლქო სასამართლოებში სარჩელების უხვად შეტანის მიზეზი გახდა.

როგორც მაშინდელმა სამხარეო უშიშროების სამსახურის უფროსმა თემურ გაბუნიამ მითხრა, ეს გადაწყვეტილება გაუაზრებელი და ნაუცბათევი გახლდათ, რადგან საჭირო საზოგადოებრივი აზრი შემზადებული არ იყო, ამიტომ მოჰყვა მას ეგზომ უარყოფითი რეაქციაო.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა დააკმაყოფილა ბაზრის დაკეტილი კარის გახსნის თაობაზე, ეს კარი მაინც არ განიხვნა: ზუგდიდის რაიონის გამგეობამ ყურად არ იღო სასამართლოს გადაწყვეტილება. პირიქით, ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა იგი. საოლქო სასამართლოში კი ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაიდო პროცესი „მომჩივანთა გამოუცხადებლობის გამო".

რა თქმა უნდა, დასკვნა ერთია, — დროის გაყვანის ტაქტიკა, მაგრამ სანამდე? ყველაფერს ხომ ზღვარი აქვს?..

საფიქრალია: იქნებ ბაზრის დირექცია (გია კანკია) იმიტომ იჩენს ინერტიულობას, იმიტომ არ იბრძვის უფრო პრინციპულად ქვემდებარე ობიექტის მოსაწესრიგებლად, რომ ზედა ეშელონიდან ზეწოლას განიცდის და რისკზე წასვლის ეშინია, ელემენტარულად, გამბედაობა არ ყოფნის?

რადგან ამ წერილის თემა ბაზარია, მართებულია, ორიოდე სიტყვა მის არასწორ პრივატიზებაზეც ვთქვათ. ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარი, კანონის თანახმად, ცეკავშირის სისტემაში შედიოდა და მისი პრივატიზება არ შეიძლებოდა, მაგრამ დაინტერესებულმა პირებმა, მაშინდელი სახელმწიფო კანცელარიის მაღალჩინოსნების დახმარებით, ვაჭრობის სამინისტროს დაუქვემდებარეს და მის „პრივატიზაციას" მწვანე შუქი აუნთეს. ამაში კი, სხვებთან ერთად, დიდი „ღვაწლი" ბაზრის დირექციასაც მიუძღვის. ასე რომ, სათავიდან ამღვრეული წყალი დღემდე გაუწმენდავი რჩება, რასაც ქალაქის მოსახლეობა ვერა და ვერ ეგუება.

ნათქვამია, ხალხი სწორი მსაჯულიაო, ამიტომაც ამ საკითხთან დაკავშირებით მათი მოთხოვნა ბაზრის ცენტრალური კარის გაღების შესახებ, სამართლიანია, ზუგდიდის ბაზარს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავია, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურება. ამიტომ ცენტრალური შესასვლელი კარის გაღება აუცილებელია და ამის უგულებელყოფა გარემოვაჭრეთა მოტივაციით ყოვლად გაუმართლებელია.

რა დასამალია, რომ ბაზრის მოვაჭრეთა ერთ ნაწილს ხელს არ აძლევს დღემდე დაკეტილი კარის გაღება, კლიენტი მოგვაკლდებაო... ეს მათი პრობლემაა, მაგრამ ბაზრის მომხმარებლებმა რა დააშავეს, რომლებიც დარში თუ ავდარში შემოვლითი გზით, მტვრით და ტალახით დასვრილნი დადიან ბაზარში?

ახლა ველური საბაზრო ეკონომიკის საწყისი ხანაა, როცა ბაზარი ყველას ძირითადი შემოსავლის წყაროდ მიაჩნია. მას ეტანებიან. სუპერმარკეტები ყოველ ნაბიჯზე კია, მაგრამ იქ სიძვირეა, რასაც თხელჯიბიანები ვერ უძლებენ.

ზუგდიდის ცენტრალური ბაზარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, თავისი ადგილმდებარეობით ადვილმისაწვდომია, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისთვის. თუმცა არსებობს სხვაგან მისი გადატანის იდეაც, რომლის ხორცშესხმა მომავლის საქმეა.

ერთხანს ბაზარი ფაიფურის ქარხნის მიდამოებში გადაიტანეს, საამისოდ კიდეც აშენდა დახლები და შენობები, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ მიმოსვლა არ ჭირდა, ხალხი მაინც არ წავიდა იქ, ისევ ძველი ბაზრის ერთგული დარჩა. აგერ იყო და ქალაქის ცენტრში ჩხოუშის სანაპიროზე, უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი „მურმან როგავა" გაიხსნა, მაგრამ იქაც ხალხის ნაკლებობაა. ამის მიზეზიც, ალბათ, ცენტრალური ბაზრის ტრადიციული „მიმზიდველობაა".

არის ასეთი ვერსიაც: ბაზრის ცენტრალური შესასვლელი კარის გადაკეტვა მოხდა ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე მშენებარე ახალი, მრავალპროფილიანი სავაჭრო ობიექტის მესვეურთა ინტერესების გამო. ვნახოთ, რამდენად მართებულია ეს ვერსია.

როგორც ვხედავთ, ბაზრის ცენტრალური შესასვლელი კარის გახსნა მრავალუცნობიან განტოლებასთან არის დაკავშირებული და ე.წ. „ჯაჭვური" რეაქცია მანამდე არ მოხდება, სანამ პრობლემა გადაუჭრელი დარჩება.

ბაზრის კარის პრობლემა გიგი უგულავას დანატოვარია, რომელიც ვერ გადაწყვიტა მისმა მემკვიდრემ კახა არდიამ. ახლა ჯერი ზაზა გოროზიაზეა. მაგრამ ვინ იცის, ეგებ დღეს-ხვალ უმისოდაც გადაწყვიტოს საოლქო სასამართლომ ეს „უზარმაზარი" პრობლემა!

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

⊙ დედაქალაქი

თბილისის მერიის მორიგი აფიორა?

როგორ გაუცრუეს იმედი ვაჟა თოდუას და არა მარტო მას

ამ ზაფხულს ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნე პატარა წერილი სათაურით: „ვაჟა ბიძია და ზღვა სიხარული". იგი ეხებოდა ერთ კეთილ კაცს, რომელმაც საკუთარი ნება-სურვილით ვარკეთილის მეოთხე მიკრორაიონის 407-413 კორპუსების ეზო კეთილმოაწყო და პატარა მოქალაქეებს, ვინც არდადეგებზე თბილისიდან გასვლა ვერ მოახერხა, ხალისიანი ზაფხული აჩუქა.

გულახდილად გითხრათ, წერილის ადრესატი არ მომიძებნია. ვიფიქრე, გაზეთის პუბლიკაციაზე ვილაცა მაინც ეტყვის-მეთქი. არ გასულა დიდი დრო და ჩემი წერილის გმირი — ვაჟა თოდუა თავისი ფეხით მეწვია, მაგრამ მადლობის სათქმელად არ მოსულა — ინკასატორის როლში მომევლინა.

იქითური ვთქვით, აქეთური ვთქვით. გავარკვიე, რომ აფხაზეთიდან არის. იქ დიდხანს ულვაწია და კაი კაცის სახელიც დაუგდია (ამის დასადასტურებლად ის ეზოც ხომ კმარა!). რა ვქნა, უსაქმოდ ვერ ვჩერდები, გული მთხოვს, რომ რაღაც, თუნდაც უმნიშვნელო რამ მაინც გავაკეთო და ადამიანებს სიკეთე მოვუტანო. ეს ხეები, ჩემო ბატონო, ზოგი საიდან მოვიტანე და ზოგი საიდან. **ერთმა ჩინოვნიკმა აგდებით მითხრა, ღმერთი არ გაწვალებს და შენ რატომ იწვალებ თავსო. სხვათა შორის, სწორედ იმას ევალებოდა ჩემთვის ხელის შეწყობა, მაგრამ...** მერე იყო და დეპუტატობის კანდიდატი გვეწვია. ქებით ცაში ამიყვანა, დაპირებებით ამავსო. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი გაინაღდა, აქეთ ფეხი აღარ გადმოსცდენია. აბა, იმისი მოიმედობა რაში გამომადგებოდა? ჩვენი პატარების გაბრწყინებულ სახეებს რომ ვხედავ, ყველა წყენა მავიწყდება და ჩემი ბავშვობა მახსენდება. ასეთი ვარ და, რა ვქნა...

დიდხანს ვისაუბრეთ. აქაურობა ძალიან შემიყვარდა, მაგრამ როგორც კი აფხაზეთში დაბრუნების ნებას მომცემენ, მაშინვე გუდა-ნაბადს ავიკრავო.



კი, უსათუოდ წავა ვაჟა თოდუა მშობლიურ აფხაზეთში. წავა, ხოლო კეთილი სახელის სამახსოვროდ ამ შვენიერ ეზოს დატოვებს, ეზოს, რომლის ყოველ მტკაველს მისი მარჯვენის მადლი ატყვია.

ეს წერილი, იქნებ, არც დაწერილიყო, ერთი გარემოება რომ არა: **ამ გაზაფხულზე მეზობლები შეგვკრიბეს და გამოგვიცხადეს, მერიამ ლიფტების შეკეთება უნდა დაიწყოსო. ამის შესახებ მერიის მაშინდელმა თავკაცმა ზურაბ ჭიაბერაშვილმაც ომახიანად განაცხადა, ლიფტებსაც მივხედავთ და სახლების სახურავებსაცო. ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობას მოსახლეობაც მიიღებდა — ყველა საცხოვრებელ კორპუსებთან შეიქმნებოდა ამხანაგობები, ის გადაიხდიდა ლიფტის შეკეთების ღირებულების 15 პროცენტს, სახლის სახურავის 10 პროცენტს. დანარჩენ თანხას სახელმწიფო გაიღებდა. ყოველწლიურად ამ საქმეს 2,5-3 მილიონი ლარი მოხმარდებოდა.**

ამ ამბავმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად მატერიალური სიდუხჭირისა, მოსახლეობამ მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

საქმეს ახლაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი ვაჟა თოდუამ. და ახლა, როცა ოქტომბერიც მიილია და ნოემბერიც, ხოლო ლიფტების შეკეთებას საშველი არ დაადგა, ვკითხე, რაშია საქმე, რამ შეგაფერხათ-მეთქი.

— რამ და იმან, რომ ვილაცას ფულის შოვნის მადა გაეხსნა. ვისთან არ ვიყავი, ვინ არ შევაწუხე, მაგრამ ამაოდ. ყველა საბუთი მოვამზადე, თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურსაც არაერთხელ ვეწვიე. სამწუხაროდ, **ეს წამოწყებაც მორიგი აფიორა გამოდგა, მოსახლეობა ისევ პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. უფრო მეტსაც გეტყვით, ის 10-15 პროცენტი, მოსახლეობას თავის წილად რომ უნდა გაეღო, მასთან შეუთანხმებლად ჯერ 20-25, შემდეგ კი 35-40 პროცენტამდე გაზარდეს. ამხელა თანხის გადახდა მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია. ასე რომ, სართულიდან სართულზე ფეხით ჩანჩალი კიდევ დიდხანს მოგვიწევს...**

აი, ეს მიამბო უზომოდ შეწუხებულმა ვაჟა თოდუამ — პირობა ვერ შევასრულე, სიტყვა გავტეხეო. ვანუგეშე, თქვენ რა შუაში ხართ, როცა ცოტა უფრო დიდჩინოსნებს მხოლოდ ფულის „გაიმასქნება" ელანდებათ, პასუხისმგებლობას კი ყურთბალიშივით ხმარობენ. ალბათ მტყუან-მართლის გარჩევის დროც მოვა-მეთქი.

ამასობაში ვარდების რევოლუციის ორი წლისთავიც დიდი ზარზეიმით აღვნიშნეთ. მერე რა, თუ იმედის კოვზი კიდევ ერთხელ ჩაგვივარდა ნაცარში. ისევ ხომ მოვა რევოლუციის წლისთავი? ჰოდა, დაველოდოთ. აკი ბრძენი გვასწავლის, „ვინც მოითმენს, მოიგებსო".

თუმცა, ვეჭვობ, რომ ვაჟა თოდუას და კიდევ ბევრ სხვას ანდაზის ჭეშმარიტებისა ამ მთავრობის ხელში კიდევ სჯეროდეს...

ელგუჯა ლეგანიძე

სურათებზე: ვაჟა თოდუა; აი, ასეთი ეზო „აჩუქა" ჩვენს პატარებს ვაჟა თოდუამ.

⊙ ინფორმაცია

„გაზეთი ტექსტის გარეშე"

კახეთის რეგიონული გაზეთების — „სპექტრი" და „კახეთის ხმა" — თანამშრომლები ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით ერთობლივ აქციას — „გაზეთი ტექსტის გარეშე" იწყებენ.

როგორც ინტერპრესნიუსს აქციის ორგანიზატორებმა განუცხადეს, აქციის მიზანია კახეთის რეგიონში ერთი წლის მანძილზე ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ მორალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან რეაგირება მოჰყვეს.

— ზემოთ აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, გაზეთები „კახეთის ხმა" და „სპექტრი" ვიწყებთ ერთობლივ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მედია საშუალებას, — აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

ჟურნალისტთა საგამოძიებო ჯგუფი მოითხოვს ყველა ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც აღნიშნულ ფაქტებს უკავშირდება. ისინი ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებენ, ითანამშრომლონ მედია-ჯგუფთან სიმართლის დასადგენად, რათა საბოლოოდ გაირკვეს, ვის ინტერესებში შედის დამოუკიდებელი მედიის მიმართ განხორციელებული ზეწოლები.

სენაკის ყოფილი გამგებელი ანზორ ცაგურია დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა სენაკის ყოფილი გამგებელი ანზორ ცაგურია დააკავეს. მას ბრალად ედება 1997-98 წლებში დევნილთათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხის არამიზნობრივი ხარჯვა.

ანზორ ცაგურია ამჟამად საოლქო პროკურატურაში იმყოფება და მიმდინარეობს მისი დაკითხვა. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ცაგურიას თქმით, მას არანაირ თანხასთან შეხება არ ჰქონია.

— ის, რასაც საოლქო პროკურატურა მედავება, ანუ თანხების გადარიცხვა ეხება არა მიზნობრივს, არამედ კონკრეტული ორგანიზაციისთვის განკუთვნილ თანხას, რომელიც ამ ორგანიზაციის ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო, — აცხადებს ცაგურია.

დაკავებულს 6-დან 12-წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ათ დღეში დასრულდება

საბურთალოზე, კოსტავას ქუჩაზე, სასტუმრო „აჭარიდან" საავაძის მოედნამდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ათ დღეში დასრულდება.

როგორც ინტერპრესნიუსს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განუცხადა, ამ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა ამ დროის განმავლობაში აღდგება და წარმოქმნილი საცობებიც აღმოიფხვრება.

მისი თქმით, დედაქალაქში წელს დასასრულებელი გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები 27 დეკემბრისთვის მთლიანად ამოიწურება და ყველა ცენტრალურ მაგისტრალზე ტრანსპორტის მოძრაობა გამარტივდება.

სუბელიანის თქმით, მომავალი წლისთვის დედაქალაქში შიდაკვარტალური გზების კეთილმოწყობა დაიწყება.

მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტში კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს 127 მილიონი ლარი აქვს გათვალისწინებული. ამ თანხებით დედაქალაქის დასუფთავება, გამწვანება, განათება და გზების კეთილმოწყობა უნდა განხორციელდეს.

ნარკოტიკების შეგზავნის მცდელობა აღკვეთეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 40 წლის მამუკა ს.-ძე თბილისის №5 საპყრობილის საამანათო განყოფილებაში ნარკოტიკების შეგზავნის მცდელობისს დააკავეს.

როგორც გაირკვა, მამუკა ს.-ძეს პატიმარ მამუკა ზ-შვილისთვის გადასაცემ ამანათში, ქარხნული წარმოების „კამეას" ფირმის საპონში დამალული ჰქონდა პოლიეთილენის პარკში შეფუთული ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრემორფინის" შემცველი თეთრი ფერის აბის ნატეხები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი

ინტერპრესნიუსი

⊙ გლობუსი

ევროპა და მიგრანტები

ვისაც ამერიკაში უმოგზაურია, ყურადღებას მიაქცევდა მოსახლეობის სიჭრელეს. გერმანული, ინგლისური, ესპანური, ირლანდიური წარმოშობის ადამიანებთან ერთად, შავკანიანი მოსახლეობის დამატებით, თვალს იტაცებს აზია-წყნარი ოკეანისთვის დამახასიათებელი გარეგნობის ადამიანთა სიჭარბე.

ამერიკაში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ქალაქებში ქალაქების არსებობა. ხშირად მეგაპოლისების გარეუბნებს მარტივად, გარეუბნებად მოიხსენიებენ, თუმცა ეს განმარტება სულაც არ ასახავს იმ ურთულეს პროცესს, რასაც მიგრაცია ჰქვია. ლოს ანჟელესის, ნიუ-იორკის ან სხვა ქალაქების ჩინურ, ინდურ თუ სხვა კვარტალებს სრულიად თა-

მაგრამ ეს ამერიკაა, სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მიერ ერთობლივად შექმნილი სახელმწიფო. კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა ევროპის ტრადიციული კულტურისა და ისტორიის სახელმწიფოებში, სადაც ძირძველ ადგილობრივ მოსახლეობას გარკვეული სიძნელეები ხვდება, ძველი თუ ახალი მიგრაციული ტალღის გამო.

ვისუფლად შეიძლება ეწოდოს ქალაქები. ჩინურ ქალაქში, „ჩაინა თაუნში" ყოფნის დროს ერთი წუთითაც ვერ იფიქრებთ, რომ ამერიკაში ხართ. ჩინური ლაპარაკი, ჩინური რეკლამები, ჩინური რესტორნები და სასადილოები მდიდარი ჩინური კერძებით. ჩემი მასპინძელი ჩინელი, სიამაყით მეუბნებოდა, რომ „ჩაინა თაუნში" შეიძლება დაიბადო და მთელი ცხოვრება ისე იცხოვრო, რომ ამერიკულ გარემოსთან შეხება არ გქონდესო. ნიუ-იორკში ბრაიტონ ბიჩზე რუსულის ცოდნა საკმარისია, ვინაიდან ამ კვარტალში რუსულ-ებრაული მოსახლეობა ცხოვრობს, იშვიათობას აღარ წარმოადგენს ქართული ლაპარაკიც. უკანასკნელ წლებში საქართველოში არსებულმა გაუსაძლისმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ათეულ ათასობით ქართველი, ლუკმა-პურის საძებრად შორეულ ამერიკასაც მიაყენა. მათი უმრავლესობა არალეგალური მიგრანტია, რითაც საგრძნობ პრობლემას უქმნიან ადგილობრივ ხელისუფლებას.

ერთ საგაზეთო სტატიაში ძნელია მიგრაციის პროცესების და მისგან გამომდინარე შედეგების ღრმა ანალიზის გაკეთება, მაგრამ დროდადრო დავუბრუნდებით გასული საუკუნის ბოლო წლებისა და XXI საუკუნის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას.

გლობალიზაციის ახალ ტალღასთან ერთად იზრდება განვითარებული ქვეყნების თავის ტკივილი არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით. აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოების ლიდერები იძულებულნი არიან მეტი ყურადღება დაუთმონ მიგრაციულ პროცესებს.

ეკონომიკური სიდუხჭირის და მძიმე სოციალური პირობების გამო საქართველო არ მიიჩნევა მიგრანტთა საოცნებო ქვეყნად, პირიქით, ჩვენი მოქალაქეები სხვას უქმნიან თავსატეხს.

საკითხი რომ რთულია და კომპლექსურ გადაჭრას საჭიროებს, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა ევროპა და მსოფლიო. ამას წინათ, საფრანგეთში ემიგრანტთა მიერ აფეთქებული ბუნტის შედეგად 5.000-ზე მეტი ავტომობილი დაიწვა, მრავალი მაღაზია, კაფე და ბარი განადგურდა, ასობით ადამიანი, მათ შორის, პოლიციელი დასახიჩრდა. საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენისთვის საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეცნობიერებინა 1955 წელს მიღებული კანონი საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე. საფრანგეთის ამბოხი გერმანია-ბელგიასაც გადაედო, თუმცა ნაკლები დოზით. თითქმის ორი კვირის განმავლობაში საფრანგეთის ქალაქების ქუჩების პეიზაჟები დამწვარი მანქანებითა და განადგურებული მაღაზია-რესტორნებით მსოფლიოს ტელეკომპანიების ახალი ამბების პირველ პოზიციებს იკავებდა. საბედნიეროდ, დღეს ვითარება კონტროლს ექვემდებარება. შეწყდა პოლიციის და მიგრანტების ქუჩის შეტაკებები, მაგრამ არეულობამ ყველას შეახსენა, თუ რაოდენ სერიოზულია მიგრანტთა პრობლემა.

საფრანგეთის რევოლუციური ქარიშხლის მასშტაბებმა დააფიქრა სპეციალისტები და პოლიტიკოსები. ამჯერად ახალი ძალით მიმდინარეობს განვლილი მძიმე დღეების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, შესწავლა, აწონ-დაწონვა. ერთის მხრივ, ლიბერალურ და დემოკრატიულ საფრანგეთში თითქოს იმიგრანტთა მიმართ არცთუ ურიგო პირობები იყო შექმნილი: ერთ სულზე 12 კვ. მეტრის უფასო საცხოვრებელი ბინა, თვეში 390 ევროს ფინანსური დახმარება, დამატებით თითო ბავშვზე 160 ევრო, ბავშვებისთვის უფასო სავალდებულო განათლება და სხვა. ალბათ დაგებადებათ კითხვა, რა აღელვებთ საფრანგეთის ყოფილი კოლონიებიდან — ჩრდილო და ეკვატორული აფრიკის, არაბული ქვეყნებიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან სამუდამო საცხოვრებლად გადმოსახლებულებს?

დღეს, საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ალჟირელები, მაროკოელები, ტუნისელები შეადგენენ. მათგან მუდმივი სამუშაო ადგილი მხოლოდ 40 პროცენტს აქვს. სტატისტიკის მიხედვით საფრანგეთის მოსახლეობის 60 მილიონი ადამიანიდან 5 მილიონი ეთნიკური უმცირესობაა (8 პროცენტი). მსგავსი მდგომარეობაა გერმანიაში, სადაც 82 მილიონი ადამიანიდან 8 პროცენტს არ აქვს გერმანული ფესვები, 3.7 პროცენტი კი მუსლიმანია. მიგრანტებიდან აქ თურქები დომინირებენ. დიდი ბრიტანეთის 60 მილიონი ადამიანიდან ეთნიკური უმცირესობა 6 პროცენტია, ძირითადად, ინდოელები, პაკისტანელები და აზიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ესპანეთში 40-მილიონიან მოსახლეობაში 30 პროცენტი ჩრდილო აფრიკელები არიან. ნიდერლანდებში, 16 მილიონ ადამიანში 17 პროცენტი მაროკოელი და აზიის ქვეყნის წარმომადგენელია.

იხ. მე-5 გვ.

⊙ სახელმწიფო ბიუჯეტი

5. საკუთარი ბიუჯეტიც თვითონ შექმნან და სახსრებიც თავად ხარჯონ

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს დიდად განსაზღვრავს ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების ყოფაცხოვრების პირობები. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 2005 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" კანონს და მთელ რიგ სხვა აქტებს, რომლებიც სხვათა შორის, დიდად განსაზღვრავენ მომავალში დაბალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გამოთანაბრების, ტრანსფერების განაწილების ახალ წესსა და სავარაუდო შედეგებს.

საქართველოში ბოლო დროს რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის რატიფიცირებამ და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტმა შექმნეს ადგილობრივი თვითმმართველობის სრულფასოვანი ინსტიტუტის ჩამოყალიბების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. ევროპული ქარტიის შესატყვისი რეალური თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად ჩვენში სათანადოდ დასახვეწია არსებული საკანონმდებლო ბაზა, ვინაიდან ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონი და სხვა დოკუმენტები საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. ასეთ პირობებში კი, ბუნებრივია, წარმოიქმნება კონფლიქტები ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების განაწილებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ქვეყანაში არსებულმა ახალმა რეალობამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ახალ ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელმაც მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხი უნდა გადაწყვიტოს, რაც თვითმმართველობის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია წლეულს მარტში მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" კანონის რეალურად ამოქმედება, რომელიც განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის ქონების კატეგორიებს, მისი შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს, არეგულირებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულისთვის გადაცემის საკითხს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თვითმმართველი ერთეულის, როგორც მესაკუთრის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძველი უნდა გახდეს თვითმმართველი ერთეულის ქონება.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ", რომელიც ძალაში 2007 წლიდან, ახალი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის შემდეგ უნდა შევიდეს, **სამართლებრივად მოაწესრიგებს ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო ურთიერთობებს, გაზრდის თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებას და ამით ხელს შეუწყობს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.**

ფინანსურად სუსტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასაცავად საჭიროა **ფინანსური გამოთანაბრების ზომების გატარება.** ამ მხრივ ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის გამონათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულით განსაზღვრის ახალი წესი, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტი ითვალისწინებს, ერთ სულ მოსახლეზე უზრუნველყოფს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების გამოთანაბრებას საქართველოში ჩამოყალიბებულ ანალოგიურ მაჩვენებლამდე. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, **ტრანსფერების განაწილების ახალი წესი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სუბიექტური ფაქტორების გავლენა, პროტექციონიზმი და, რაც მთავარია, კორუფცია.**

გამოთანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის შემოღება მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ ქვეყნის ხელისუფლებას მყარი გარანტიების პირობებში, **ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლებას საშუალება ექნება კი არ დაელოდოს პარლამენტის მიერ ცენტრალური ბიუჯეტის კანონპროექტის დამტკიცებას, არამედ რამდენიმე თვით ადრე დაიწყოს საკუთარი ბიუჯეტის ფორმირება და დაამტკიცოს იგი ახალი ფინანსური წლის დაწყებამდე.** ადგილობრივ თვითმმართველებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ საკუთარი ფინანსური სახსრები დამოუკიდებლად განკარგონ.

და კიდევ ერთი: მომავალში უნდა მოისპოს ცენტრალური ბიუჯეტის „კმაყოფაზე მყოფი" ტერიტორიული ერთეულები, რაც, უწინარესად, ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო ბაზის ზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს. ტრანსფერი აღარ უნდა იყოს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი წყარო. ამისათვის უნდა გაიზარდოს ადგილობრივ ერთეულებში ფინანსურ წყაროებში ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების წილი, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება უნდა გახდეს.

ოთარ ტურაბელიძე

⊙ გენერალისიმუსის გზა

კორკენ საქტანოვი

უცნობი სტალინი

მეორე ნაწილი



აი, შარი თუ გინდა! გუშინ ხომ ვოლსკის კრინტიც არ დაუძრავს თავისი მარცხმოსურნეობითი განწყობილების შესახებ. კი მაგრამ, რატომ არ თქვა?

სტალინმა დაამთავრა განხილვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებთან, გაუშვა ისინი, შემდეგ ვასილევსკის მჭიდროდ მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა:

— აბა, ამხანაგო ვასილევსკი, რას იტყვით ამაზე?

— გაოცებული ვარ როგორც წერილის შინაარსით, ისე მისი ავტორით...

— როგორია ახლა თქვენი აზრი ზეგინდელი შეტევის შესახებ?

— იგი დადგენილ ვადაში უნდა დაიწყოს. მჯერა შეტევის წარმატებისა.

— რას ფიქრობთ ამ წერილზე?

— ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო სტალინ.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება და თქვენი აზრი წერილის ავტორზე?

— ვოლსკი ჩინებული კორპუსის მეთაურია. მზად არის და ნებისმიერი დავალების შესრულება შეუძლია.

— თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ამის შემდეგ მისი დატოვება კორპუსის მეთაურად?

ვასილევსკი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და უპასუხა:

— შეიძლება, ამხანაგო სტალინ. იმიტომ რომ მეთაურის შეცვლამ შეტევის წინ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კორპუსს. მაგრამ ვოლსკისთან საჭიროა პირისპირ მოლაპარაკება ამ შემთხვევის გამო.

— შეგიძლიათ მასთან დამაკავშიროთ ახლა? თვითონვე დაველაპარაკები.

ვასილევსკიმ მაღალი სიხშირის ტელეფონით ფრონტის სამეთაურო პუნქტში დარეკა და ბრძანა, დაუყოვნებლივ ვოლსკი მოძებნეთო. ვოლსკიც ტელეფონთან მალე მოვიდა. სტალინმა ყურმილი აიღო და მეტად თავშეკავებულად, ზრდილობიანად და ნელა შეუდგა ლაპარაკს:

— გამარჯობათ, ამხანაგო ვოლსკი. მივიღე და წავიკითხე თქვენი წერილი. არავისთვის მითქვამს და არავის გავუმხელ თქვენს აზრებს. მე ასე მესმის: თქვენ ჯეროვნად ვერ აფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს. გირჩევთ: მთელი თქვენი ძალები მოახმაროთ დასახული ამოცანების გადაწყვეტას და გამარჯვებასაც მოიპოვებთ. ამის მჯერა! მზად ხართ თუ არა ახლა შეასრულოთ თქვენი ამოცანა ყოველგვარი დაეჭვების გარეშე?

— მზად ვარ, ამხანაგო სტალინ!

— მწამს თქვენი და გისურვებთ წარმატებებს! ვიმეორებ, არავისთვის მითქვამს და არავის ვეტყვი თქვენი წერილის შესახებ, გარდა ვასილევსკისა. ნახვამდის.

სტალინმა ყურმილი დადო და ვასილევსკისკენ შებრუნდა:

— ვოლსკისაც ასევე უნდა გავუგოთ, ამხანაგო ვასილევსკი. თქვენ მას შეხვდებით, ოღონდ არ გაუწყრეთ, პირიქით, დაარწმუნეთ უთუო წარმატებაში, ჩემგან კი ერთხელ კიდევ მხურვალე სალამი გადაეცით.

ვასილევსკი ფრონტზე დაბრუნდა. შეტევა ზუსტად დანიშნულ დროს დაიწყო. სამხრეთ დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარებმა მოწინააღმდეგის დაცვა გაარღვიეს და კალაჩის რაიონში შეერთდნენ. ვოლსკის სატანკო კორპუსი არნახული გმირობით იბრძოდა, თვითონ ვოლსკი ბრძოლების შუაგულში ტრიალებდა, მაგრამ ცოცხალი და უვნებელი დარჩა.

ვასილევსკიმ დაუყოვნებლივ ახარა სტალინს კაჩთან ორი არმიის ძლევამოსილი შეხვედრის ამბავი.

სტალინი:

— ასეც უნდა მომხდარიყო... ამხანაგო ვასილევსკი, როგორ ომობდა ვოლსკი და მისი კორპუსი?

— ჩინებულად, ამხანაგო სტალინ! მისი სატანკო კორპუსი მუსრს ავლებდა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს თავის გზაზე!

— მაშინ ასე მოიქეცით, ამხანაგო ვასილევსკი... იპოვეთ ნებისმიერი ჯილდო და დაუყოვნებლივ გადაეცით ჩემ პირად მადლობასთან ერთად, ასევე აცნობეთ, რომ მიმდინარეობს მზადება მისი კორპუსისა და პირადი შემადგენლობის დასაჯილდოებლად.

რა ჯილდო უნდა მონახო ფრონტზე? ვასილევსკის ნადავლი ვალტერი ჰქონდა. როდესაც ვასილევსკიმ ვოლსკის პისტოლეტი გაუწოდა და სტალინის მადლობა გადასცა, პასუხად ვასილევსკის გადაეხვია და ცრემლები გადმოღვარა:

— ამხანაგო მარშალო, გადაეცით ჩემი მადლობა სტალინს. გამარჯვების მისაღწევად სიცოცხლესაც არ დავიშურებდი. ბრძოლების შუაგულში ვიყავი, თანაც წინ, ერთ ტყვიას არ გავუკენწლივარ, იმიტომ რომ, ყურებში სულ ამხანაგ სტალინის ხმა მესმოდა...

სტალინი წამოდგა და ყველას მიმართა:

— ამხანაგებო, დიდია ამხანაგ ვასილევსკის დამსახურება სტალინგრადის ფრონტზე. მოდით, ფეხზე წამოვდგეთ და მისი სადღეგრძელო დავლიოთ.

ყველანი ხმაურით ფეხზე წამოდგნენ და ვასილევსკის სადღეგრძელო დალიეს.

საღამოს დასასრულ სტალინმა კვლავ აიღო სიტყვა. მან წარმატებანი უსურვა გენერლებსა და მარშლებს. როგორც კი სტუმრები წავიდნენ, სტალინის ქალიშვილი შემოვიდა. გაბრწყინებული, ბედნიერი გოგონა ფეხის წვერებზე გამოიქცა და მამას კისერზე ჩამოეკიდა. ოდნავ ნასვამი სტალინი კიდევ უფრო გამხიარულდა. სვეტლანას ეს-ესაა ჩვიდმეტი წელი შესრულებოდა...

— სეტანკე-დიასახლისო... დღეს მეტად მხიარული ხარ, რა მოხდა?

— მთელი ხალხი, მთელი მსოფლიო ზეიმობს, რატომ მეც არ უნდა მიხაროდეს. გილოცავ სტალინგრადთან გამარჯვებას, მამიკო!

სტალინი ტუჩებით ნაზად შეეხო ქალიშვილის ნიკაპს და ხელისგულებით მისი ხელის მტევნებს მოეფერა.

— ეს ჩემი გამარჯვება კი არა, საყოველთაო-სახალხო გამარჯვებაა, სვეტა, გენაცვალე. სახალხოა, მაშასადამე, შენიც არის... — სტალინი ადგილიდან წამოდგა, თავისი მაგიდიდან ინგლისურ ენაზე დაწერილი რუზველტის ერთ-ერთი წერილი მოიტანა და ქალიშვილს მიაწოდა.

— აბა, პატარა დიასახლისო, ინგლისურ ენაში ხუთები გაქვს, ხუთიანზეც მითარგმნე ეს წერილი.

სვეტლანამ პირდაპირ ფურცლიდან ტყვიამფრქვევივით უთარგმნა. სტალინი მეტისმეტად კმაყოფილი იყო ქალიშვილის ასეთი ცოდნით. სიხარულისგან სახე გაბადროდა.

— ჩემო პატარა დიასახლისო!.. სიყვარულზე მეტო!..

როგორც ჩანს, გრძნობების ასე მხურვალედ წარმოჩენა უკანასკნელი იყო. სულ მალე მათ შორის კატამ გაირბინა. 1943 წლის 2 მარტს დილით სტალინი ქალიშვილის ოთახში გაბრაზებული შევიდა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

— აბა, შენი ჯღაბნიას წერილები მომეცი...

სვეტლანა გაქვავდა. არასდროს ენახა განრისხებული მამის ასეთი საშინელი სახე:

— იცი კი, ვისთან მეგობრობ?!

— ვიცი... იგი ჩინებული ადამიანი და კინოდრამატურგია...

— კაპლერი?.. შენ ასეთი გგონია! სინამდვილეში ქალების მუსუსია! და კიდევ ინგლისის ჯაშუში!

— ტყუილია!.. მიყვარს იგი!..

— გიყვარს?! — სტალინმა ლოყებში მსუბუქად გაუტკაცუნა. **— სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს, ამას კი, დამიხედეთ, უყვარს! ჰმ, შეუყვარდა!..**

გაავებულმა სტალინმა კაპლერის წერილები და ფოტოსურათი აიღო და, სწრაფად, როგორც შემოვიდა, ისე გავიდა ოთახიდან.

* * *

კრემლში პოლიტბიუროს მორიგი სხდომა მიმდინარეობდა. როდესაც პირველი საკითხის განხილვა დაამთავრეს და მეორეზე უნდა გადასულიყვნენ, მოულოდნელად სიტყვა ჟუკოვმა აიღო და მარშლებისა და გენერლების სახელით წამოაყენა წინადადება, რომ სტალინისთვის გენერალისიმუსის წოდება მიენიჭებინათ.

სტალინი, ჩვეულებისამებრ, დინჯად ბოლთასა სცემდა კაბინეტში. ჟუკოვის მოულოდნელი წინადადება რომ მოისმინა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და ადგილზე გაშეშდა. შესაძლოა, ეს ამბავი პირველად შეიტყო, ცოტა ხნით ჩაფიქრდა, თავი გააქნია და ქართული აქცენტით ჰკითხა:

— ამხანაგო ჟუკოვ... ეს თქვენ მოიგონეთ?

— არა, ამხანაგო სტალინ... ასე გადაწყვიტა ყველა მარშალმა და გენერალმა. ისინი...

სტალინი ჟუკოვს მჭიდროდ მიუახლოვდა და სიტყვა გააწყვეტინა:

— ამხანაგო ჟუკოვ, დაჯექით...

მაგრამ ჟუკოვს არ უფიქრია დაჯდომა. იგი გულწრფელად, სულით და გულით ალაპარაკდა იმაზე, რომ გენერალისიმუსის მინიჭება ადამიანისთვის, რომელმაც დიდი გამარჯვება მოიპოვა, რუსული არმიის ძველი ტრადიციაა, რომ წოდების მინიჭებას სოლიდარობას უცხადებენ ვასილევსკი და როკოსოვსკი, და რომ თავის აზრსს არავინ უარყოფს, მაგრამ სტალინმა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო მეტის მოსმენა, კვლავ ზრდილობიანად, მაგრამ შეუპოვრად შეაწყვეტინა სიტყვა, აიძულა, დამჯდარიყო, მერე თავის მაგიდას მიუბრუნდა და ნელა წარმოთქვა:

— გასაგებია... გადაწყვიტეთ მისცეთ სტალინს გენერალისიმუსის წოდება. მაგრამ სჭირდება კი სტალინს წოდება? სტალინს სრულებითაც არ ესაჭიროება გენერალისიმუსის წოდება. სტალინს ისედაც აქვს ავტორიტეტი. გენერალისიმუსის წოდების გარეშეც. ჩან-კაიში გენერალისიმუსია, ფრანკო გენერალისიმუსია. რა... გსურთ ჩემი სამარშლო გარემოდან გამოვიყვანოთ და ჩან-კაიშისა და ფრანკოს მიმატმასნოთ?

გენერლებს ერთხმად შეუერთდა პოლიტბიუროს ყველა წევრი, მოიხმეს ისტორიული წიგნები, დაწერილი კანონები, მხედართუფროსებისთვის ამ წოდების მინიჭების მაგალითები, ახსენეს მენშიკოვი და სუვოროვი და, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეს სტალინი. სტალინის ჯიუტობა შესაძლოა ვინმემ შეაფასოს როგორც კეკლუცობა და ჭირვეულობა, მარამ საქმე ასე არ იყო. მას არასდროს ჰყავრებია ნებისმიერი წოდებანი და პატივდებანი, არ მოსწონდა ჩვეულებრივი ხმაური მის გარშემო...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-262, 265-268, 274-279.

მოსკოვის საქალაქო სათათბიროში ადგილების 80 პროცენტი ხელისუფლების პარტიამ მოიპოვა

კვირას მოსკოვის საქალაქო სათათბიროს არჩევნებში ხმათა თითქმის 100 პროცენტის დაანგარიშების შედეგად, დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოში „ერთიანი რუსეთის პარტიამ“ 35 ადგილიდან 28-ს მოპოვება შეძლო.

„ამ პარტიის წევრებმა გაიმარჯვეს თხუთმეტივე ერთმანდატიან ოლქში. გარდა ამისა, პარტია 13 ადგილს მიიღებს იმის წყალობით, რომ მისმა პარტიულმა სიამ მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 47 პროცენტზე მეტი.

პარტიებს შორის მეორე ადგილზე გავიდა რუსეთის ფედერაციის კომპარტია. კომუნისტებმა მოაგროვეს ხმების თითქმის 17 პროცენტი, და მათ შეიძლება ჰქონდეთ საქალაქო სათათბიროში ოთხი ადგილის დაკავების იმედი.

სათათბიროში მოსახვედრად აუცილებელი 10-პროცენტიანი ბარიერი დაძლია ასევე ლიბერალური პარტიების „იაბლოკო — გაერთიანებული დემოკრატების“ სიამ. ეს ბლოკი, რომელსაც მხარის დაუჭირა ამომრჩეველთა 11 პროცენტმა, მოსკოვის საქალაქო სათათბიროში სამ ადგილს დაიკავებს.

დანარჩენმა ექვსმა პარტიამ, რომლებიც ცდილობდნენ სათათბიროში მოხვედრას, ვერ შეძლეს 10-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

პოლიტოლოგები ამ არჩევნებს მიიჩნევენ თავისებურ ბარომეტრად, რომელიც იძლევა პარლამენტის არჩევნებამდე დარჩენილ ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე, 2008 წლისთვის დანიშნული პრეზიდენტის არჩევნების წინ ამომრჩეველთა განწყობილების შეფასების შესაძლებლობას.

პოლიტოლოგთა ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მანდატებისთვის ბრძოლაში გაერთიანებული პარტიების „იაბლოკოს“ და მემარჯვენე ძალთა კავშირის მიერ მიღწეული შედეგები. ამ ორივე ლიბერალურმა პარტიამ, რომლებმაც 2003 წლის პარლამენტის არჩევნებზე სასტიკი მარცხი იწვნიეს, ამჯერად გადაწყვიტა ერთიანი სიებით გამოსვლა.

ლიბერალური პარტიების ბლოკის წარმომადგენელთა მტკიცებით, პარტიული სიებით მათ მოაგროვეს ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 14 პროცენტი. „უამრავი დარღვევა იყო, რაც გვაძლევს შედეგების შესაძლო გაყალბებაზე ლაპარაკის საშუალებას“, — განაცხადა ინტერფაქსის სააგენტოსთან საუბრისას „იაბლოკოს“ რეგიონული განყოფილების ლიდერმა სერგეი მიტროხინმა.

თუმცა, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მოსკოვის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალენტინ გორბუნოვი, რომელიც აცხადებს, რომ „ხმათა დაანგარიშების დროს არანაირი სერიოზული დარღვევა არ ყოფილა“.

„იაბლოკოს“ წარმომადგენელმა კომპარტიის მიერ დაკავებული მეორე ადგილი განმარტა იმით, რომ ამომრჩეველთა ნაწილმა, რომლებიც მზად იყვნენ, თავიანთი ხმები მიეცათ პარტია „როდინასთვის“, უპირატესობა მიანიჭეს რუსეთის ფედერაციის კომპარტიას.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „როდინა“ ამოეღო არჩევნებში მონაწილე პარტიების სიიდან, და ეს მოხდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე.

სოციოლოგთა გამოკითხვით, „როდინას“ შეეძლო არჩევნებში მოეპოვებინა მეორე ადგილი „ერთიანი რუსეთის შემდეგ“.

ნაზარბაევი არჩევნებში გამარჯვებას ზეიმობს

წინასწარი მონაცემებით, ყაზახეთში კვირას გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ნურსულთან ნაზარბაევმა.

ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ასტანაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნაზარბაევმა, რომელიც უკვე 16 წელია იმყოფება ხელისუფლების სათავეში, არჩევნებში შეძლო ხმათა 91 პროცენტზე მეტის მოპოვება.

ნაზარბაევის ძირითად მეტოქეს — ჟარმახან თუიაკბაის ხმა მისცა ამომრჩეველთა 7 პროცენტზე ნაკლებმა.

ნაზარბაევმა განაცხადა, რომ ეს არჩევნები იყო ყველაზე დემოკრატიული ყაზახეთის დამოუკიდებლობის მთელი ისტორიის მანძილზე. მისი თქმით, არჩევნებში „გაიმარჯვა ყაზახმა ხალხმა“.

ამავე დროს, ჟარმახან თუიაკბაის წარმომადგენელი ჩიოდა, რომ ხმის მიცემის პროცესში იყო არაერთი დარღვევა.

უცხოელ მეთვალყურეთათვის ეს არჩევნები უნდა გამხდარიყო იმ გზის შემოწმების საშუალება, რომელსაც დაადგა ნავთობითა და გაზით მდიდარი ცენტრალური აზიის ეს ქვეყანა: საითკენ მიჰყავს ქვეყანა ამ გზას — მეტი პოლიტიკური საჯაროობისა თუ ავტორიტარიზმისკენ?

მოკლედ

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ჩავიდა ყირიმში, რადგან, ამ ნახევარკუნძულის სამ რაიონში აღმოაჩინეს „ფრინველის გრიპის“ ნიშნები. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, სიტუაციას ადგილზე გაცნობოდა. ამავე დროს, იუშჩენკოს ჩასვლამდე ყირიმის ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ „ფრინველის გრიპთან“ დაკავშირებული სიტუაცია იქ უკვე სტაბილური გახდა.

* * *

აფეთქება ისრაელის „ა-შარონის“ სავაჭრო ცენტრში: 5 კაცი დაიღუპა, 60 დაიჭრა. წინასწარი მონაცემებით, ტერაქტი განახორციელა ტერორისტმა-კამიკაძემ. აფეთქებისთვის პასუხისმგებლობა იკისრა ერთბაშად ორმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ — „ისლამის ჯიჰადმა“ და „ალ-აქსის მოწამეთა ბრიგადებმა“ (მმართველი პარტია „ფათჰის“ გასამხედროებული ფრთა).

* * *

ეროვნებით ურუგვაელი, განათლებით იურისტი, 48 წლის კარინა პერელი დაითხოვეს გაეროს აპარატიდან. ამ ქალბატონს ბრალად ედება ის, რომ თვალს ხუჭავდა თავის ხელქვეითებს შორის სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე. არ არის გამორიცხული, ამას გაეროში ახალი სკანდალი მოჰყვეს.

* * *

სახის ტრანსპლანტაციის მსოფლიოში პირველი ოპერაციის დაწვრილებითი დეტალები ჰოლივუდის საშინელებათა ფილმების სცენარისტებსაც კი შეშურდებოდათ. როგორც „ტაიმსი“ წერს, ქალი, რომლის სახის გადანერგვაც განახორციელეს, თვითმკვლელი იყო — მან თავი ჩამოიხრჩო. გარდა ამისა, ფრანგი ექიმების პაციენტიც ცდილობდა თავის მოკვლას, რის შედეგადაც მისი სახე ძალზე დამახინჯდა, და ამიტომაც საჭირო გახდა ტრანსპლანტაცია.

* * *

სახელმწიფო დაცვის ყოფილმა მაიორმა მელნიჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ექს-მეთაურს ვლადიმერ ლიტვინს (იგი ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარეა) ჰქონდა მოტივები ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის თავიდან მოსაშორებლად. ყოფილმა სახალხო დეპუტატმა ალექსანდრე ელიაშკევიჩმა კი განმარტა, რომ საქმე ეხება ღონღაძის „ურთიერთობას ქალთან“.

⊙ გლობუსი

ევროპა და მიგრანტები

(მეოთხე გვერდიდან)

ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში მუდმივსაცხოვრებლად ჩასულ უცხოელს გარანტირებული აქვს ნორმალური მოპყრობა, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, თავისუფალი გადაადგილების უფლება და თავისუფალი აღმსარებლობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. მიგრანტებს ისეთივე პირობებში უნდათ ყოფნა, როგორშიც ძირძველი მოსახლეობაა. იმიგრანტული სიძულვილი განვითარებული საზოგადოებრივი ფენების მიმართ, შური იმათ მხრიდან, ვინც ვერ ჩამოყალიბდა გამორჩეულ პიროვნებად, სახეზეა. ბუნტის მონაწილენი საფრანგეთის პასპორტის მქონენი არიან, მაგრამ ისინი თავს არ თვლიან საფრანგეთის სრულუფლებიან მოქალაქეებად. მიგრანტთა აზრით, ისინი დისკრიმინაციას განიცდიან. „მათ, ვინც განათლება მიიღეს, არაბული წარმოშობის გამო ვერ პოულობს სამუშაოს“, — ამბობს ფრანგი პოლიტოლოგი ალფრედ გაზოსერი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საფრანგეთში მცხოვრები ევროპული იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, ამბოხებულთა წინააღმდეგ მებრძოლი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, საფრანგეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტის ნიკოლა სარკოზის მამა უნგრელია. პოლიტოლოგთა აზრით, ევროპელთა მიმართ განხორციელებულმა ინტეგრაციულმა პროგრამამ უკეთ იმუშავა, ვიდრე იმან, რომელიც გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მიგრანტების მიმართ. თითქმის სამი თაობა ცხოვრობს ქალაქების გარეუბნების გამოცალკევებულ კვარტალებში. ისინი არ ჩანან ტელეეკრანებზე ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არასრულყოფილი, დაუკანონებელი, მაგრამ ფაქტობრივად მეორეხარისხოვანი ადამიანის სტატუსი, იმიგრანტთა სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორიც, საფრანგეთში მომხდარი ამბოხის მთლიანად რელიგიისთვის მიწერა გადაჭარბებული იქნება, მაგრამ გარკვეულწილად, ადგილი ჰქონდა ისლამისა და ევროპის ცივილიზაციის დაპირისპირებასაც. სპეციალისტთა აზრით, ისლამი არის იმიგრანტი მუსლიმანების უმნიშვნელოვანესი ცხოვრების წესი. ისლამის სულიერ და კულტურულ ასპექტებზე ბევრია დამოკიდებული, შეძლებს ის, იმიგრანტთა ცხოვრების წესი მისაღები გახადოს ევროპელთათვის? მზად არიან თუ არა იმიგრანტი-მუსლიმანები შეეთვისონ ევროპულ კულტურას? სპეციალისტების აზრით, საფრანგეთის კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ღრმა და ძნელად გადასალახი ბარიერი ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ისლამური ქვეყნებიდან ჩამოსულთა კულტურულ პრიორიტეტთა შორის.

არამშობლიურ გარემოში შექმნილი კრიზისული სიტუაციის დროს, მუსლიმანში უმალ იღვიძებს ისლამის, მისი რწმენის, კულტურის ცივილიზაციისადმი კუთვნილება. ისლამი ასეთ შემთხვევაში მის გონებაში დომინანტური ხდება. ექსპერტთა აზრით, ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე „ისლამური მორჩილება“ წარმოიქმნება.

კრიზისი არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით არის გამოწვეული, არამედ კულტურულ-ფსიქოლოგიურითაც. ცხადია, მწვავე კრიზისის დროს უკვალოდ არ ჩაივლის მთავრობის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ კულტურულ-რელიგიური პრობლემების გადალახვა არცთუ იოლი საქმეა. მუსლიმან-მიგრანტთა ასიმილაციის მთავარი პრობლემა არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ ან პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხების მოგვარებაშია, არამედ კულტურულ ფასეულობებშიც. იმიგრანტმა მუსლიმანებმა თავად უნდა შეიმუშაონ ევროპის კულტურასთან თანაცხოვრების მოდელი, თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში?.. ექსპერტთა აზრით, საეჭვოა, რომ მუსლიმანი იმიგრანტები მზად იყვნენ არამუსლიმანურ საზოგადოებასთან ადაპტაციისთვის.

საფრანგეთის არასასიამოვნო მაგალითიდან გამომდინარე, იქნებ ჩვენს ხელისუფლებასაც გაევლო პარალელები და თურქი-მესხების ჩამოსახლების ფართო კამპანიის დაწყებამდე, სათანადო დასკვნები გაეკეთებინა; იქნებ კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, პრობლემებით დახუნძლული ქართული საზოგადოება, რამდენად შეძლებს არცთუ მცირერიცხოვანი თურქი-მესხების ჩამოსახლებით გამოწვეულ სიმძიმეებთან გამკლავებას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

სადამ ჰუსეინის ადვოკატებმა სასამართლო პროცესი ჩაშალეს

ორშაბათს განახლებული სადამ ჰუსეინის საქმის სასამართლო პროცესი ხეირიანად არც კი იყო დაწყებული, რომ ჩაიშალა.

ადვოკატებმა, რომლებიც პროცესზე იცავენ სადამ ჰუსეინის და სხვა განსასჯელთა ინტერესებს, დატოვეს სხდომათა დარბაზი იმის გამო პროტესტის ნიშნად, რომ პროცესის თავმჯდომარე-მოსამართლემ დაჟინებით მოითხოვა საქმის მოსმენის განახლება.

ისინი, თავის მხრივ, მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ განიხილონ ორი საკითხი: სასამართლო პროცესის კანონიერებისა და საკუთარი უშიშროების შესახებ.

წინა ორი სხდომაც დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ შეწყდა დაცვის მიერ შეტანილი საჩივრების გამო, რომელიც აცხადებდა, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადოდ მომზადებულიყო პროცესისთვის.

გარდა ამისა, მოკლეს ორი ადვოკატი, რომლებიც იცავდნენ იმ განსასჯელთა ინტერესებს, სადამ ჰუსეინის საქმით რომ გადიან.

კვირას ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეძლეს თავიდან აეცილებინათ სასამართლო შენობისთვის რაკეტების დაშენა.

ზოგიერთი მონაცემებით, ჩვენებების მოსაცემად ქალაქ დუჯეილში მომხდარი მკვლელობების შესახებ, რომელთა ორგანიზებაშიც ედება ბრალი სადამ ჰუსეინს, მზად არის ათამდე კაცი. მაგრამ დაცვა აპირებს ეჭვქვეშ დააყენოს თვით პროცესის ლეგიტიმურობა.

წინა დღით კი ერთ-ერთმა მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ აღარ მიიღებდა მონაწილეობას საქმის შემდგომ მოსმენაში — როგორც ირკვევა, ერთ-ერთი განსასჯელი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ამ მოსამართლის ძმის მკვლელობასთან.

ადვოკატთა ჯგუფს შეუერთდა ორი დასავლელი იურისტი, რომელთა შორის არის შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი რამსი კლარკი.

კვირას ადვოკატები ოთხი საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ სადამ ჰუსეინს. დაცვის წარმომადგენელთა თქმით, მათ პირველად მიეცათ მესამე პირების გარეშე კლიენტთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

როგორც ცნობილია, სადამ ჰუსეინს და კიდევ შვიდ ყოფილ ერაყელ პოლიტიკოსს ბრალად ედებათ ქალაქ დუჯეილში სამოქალაქო მოსახლეობის, ძირითადად, შიიტების მკვლელობა. ბრალდებაში ხაზგასმულია, რომ მოკლეს 148 კაცი, მას შემდეგ, რაც მოხდა სადამ ჰუსეინზე თავდასხმის მცდელობა.

დიეტა გულისთვის: მითები და რეალობა

ბევრმა იცის, რომ გულის დაავადებების დროს ზოგ პროდუქტს უნდა ვერიდოთ. მაგრამ ღირს კი მკაცრი შეზღუდვების დაწესება?

მითი № 1. ამბობენ, რომ ინფარქტგადატანილ ადამიანებს ხიზილალა არ ეჭმევათ.

სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. ხიზილალაში მეტისმეტად ბევრი ქოლესტერინია. საერთოდ კი ზღვის პროდუქტებზე უარი არ უნდა თქვათ. შეგიძლიათ თავისუფლად მიირთვათ მოლუსკები, რომლებიც უხვად შეიცავს პოლიგაუჯერებელ ცხიმებს, ის კი არა, შეგიძლიათ მოლუსკები წამალივით მიიღოთ.

მითი № 2. ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვათ უარი კარაქზე და მცენარეული ზეთით შეცვალოთ იგი.

ძალიან მაღალი წნევის დროს ამის გაკეთება მართლაც მოგიწევთ. ხოლო თუ ზღვრული წნევა გაქვთ, თუმცა კარაქი, არაჟანი, ნაღები, ხორცი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმებს, მათი მიღება აუცილებელია, ოღონდ ზომიერად, რადგან ორგანიზმს ისინი სჭირდება. მაგალითად, თავისუფლად შეგიძლიათ დღეში 20 გრამი კარაქი მიირთვათ, თუმცა კარაქის შესაწვავად გამოყენებას მაინც არ გირჩევთ.

ყავა კანონშია

მითი № 3. მთლიანად უნდა ვთქვათ უარი მაკარონსა და პურზე, რადგან ისინი ასუქებს, ხოლო სიმსუქნე ჰიპერტონიას იწვევს.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პური და მაკარონი ხელს უწყობს გასუქებას, ერთ შემთხვევაშია გაუმართლებელი: თუ თქვენ ერთსაც და მეორესაც ბევრ კარაქთან და ძეხვთან ერთად შეექცევით. ეს პროდუქტები ნახშირწყლებს შეიცავს, კალორიულობით კი ბევრ სხვა პროდუქტზე დაბლა დგას. შეადარეთ: 1 გ ნახშირწყლის წვა იძლევა 4 კკალ, 1 გ ცხიმის — 9 კკალ, ალკოჰოლის — 7 კკალ.

მითი № 4. 50 გრამი ალკოჰოლი დღეში სისხლძარღვებისთვის სასარგებლოა.

კარდიოლოგები ამბობენ, რომ დღეში 30 გრამი სუფთა ალკოჰოლი (ქალებისთვის 10 გ) — ეს კი 55 გ არაყი ან მაგარი სასმელებია, ერთი ჭიქა შავი ღვინო ან ერთი ქილა ლუდი სისხლძარღვების დამცველ ფუნქციას ასრულებს. ისინი ამაღლებს „კარგი“ ქოლესტერინის დონეს, რომელიც შლის ცხიმოვან ბალთებს.

ამ მოსაზრებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება ზოგიერთი კარდიოლოგი და ნარკოლოგი. პირველებს მიაჩნიათ, რომ ეს რეკომენდაციები ხელს უწყობს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარებას. მეორენი კი დარწმუნებულები არიან, რომ ჭიქა შავი ღვინო ადვილად შეიძლება ბოთლში გადაიზარდოს და ალკოჰოლურ დამოკიდებულებად ჩამოყალიბდეს. ისე რომ უმჯობესია არ დალიაოთ. პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალისტებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ პოლიფენოლები, რომლებსაც ღვინო შეიცავს და რომლებიც ხელს უწყობს ქოლესტერინის დონის შემცირებას, წითელი ყურძნის წვენშიც არის.

მითი № 5. კვერცხი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც გამოჰყავს სისხლძარღვების კედლებზე დალექილი მავნე ქოლესტერინი, ამიტომაც კვერცხის ჭამა განუსაზღვრელი რაოდენობით შეიძლება.

კვერცხის გული მართლაც შეიცავს ბევრ ლეციტინს, ფოსფოლიპიდებს — ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლებზე დალექილი ქოლესტერინის გამოდევნას. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მაშინაც კი თუ ადამიანს ათეროსკლეროზი ჯერ არა აქვს, კვირაში სამზე მეტი კვერცხის ჭამა მაინც არ ღირს. ამასთან უმჯობესია კვერცხი ბოსტნეულთან, პურთან, ფაფასთან, მაკარონთან ერთად მიირთვათ და არა ცხიმებთან (მაიონეზთან).

მითი № 6. გულით ავადმყოფებმა ყავაზე უარი უნდა თქვან.

მათ, ვინც რეგულარულად მიირთმევს ყავას, ფინჯანი ყავის დალევის შემდეგ არტერიული წნევა არ უწევს. იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად მიირთმევენ ყავას, ჰიპერტონია არ ემუქრება იმ პირობით, რომ დღეში ისინი 5 ფინჯანზე (ლაპარაკია ყავის ფინჯანზე) მეტს არ დალევენ.

გასხოვდეს „ფიზ-რე“

მითი № 7. 40 წლის შემდეგ დიეტა ყველასთვის აუცილებელია. მათ, ვისაც ქოლესტერინის დონე და წნევა ძალიან არა აქვთ მომატებული, ნაკლებმარილიანი და ნაკლებცხიმიანი დიეტა მათ ფორმის სრულყოფაში დაეხმარება. მაგრამ ამის გარდა, აუცილებელია ფიზიკური აქტიურობაც. ამასწინანდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფიზიკურ დატვირთვასთან შეხამებული დიეტა ყოველგვარი აბების გარეშე ნორმალურ მაჩვენებლამდე ამცირებს ქოლესტერინის დონეს. მარტო დიეტაც ამცირებდა ქოლესტერინის დონეს, მაგრამ ნაკლებად. თუ წნევა და ქოლესტერინის დონე ძალიან არის მომატებული, დიეტის დაცვა მაინც მოგიწევთ, იმიტომ რომ მის გარეშე დანიშნული წამლები არ იმოქმედებს, თანაც ასაკიც რისკის ფაქტორს წარმოადგენს, 40 წლის შემდეგ შეიძლება პრობლემები გამწვავდეს.

ყურადღება ტენდერი!

• **„თი-ბი-სი ბანკი“**
• **საერთაშორისო კორპორაცია “აი-სი-არი”**

აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილების ქ. №37-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის ესკიზურ პროექტზე. *(ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობის რეკონსტუქცია ბიზნესცენტრად).*

შენობის საერთო ფართი (<u>სარდაფის</u> ჩათვლით) – 2 570 მ²
ტერასა: – 298 მ²
განაშენიანების ფართი: – 1750 მ²
სარდაფის ფართი:- („თი ბი სი ბანკი“ და საერთაშორისო კორპორაცია „აი-სი-არი“) - 135 მ² *(გაფართოების პერსპექტივით)*

შენობა: ორსართულიანი, სარდაფის გაფართოების პერსპექტივით.

საერთო საპროექტო დავალება:

• შენობის ფასადის რესტავრაცია
• „თი-ბი-სი ბანკის“ ფართის რემონტი პირველ სართულზე - 736 მ²
• საერთაშორისო კორპორაცია „აი-სი-არი“ - ავეჯის სალონის ფართის რემონტი პირველ სართულზე - 460.5 მ²
• II სართულის ფართი - 1 028. 81 მ²
• პირველ სართულზე საერთო სარგებლობის რეკრიაციული ფართის რეკონსტრუქცია *(210 მ²)*, რომელსაც გამანაწილებელი ფუნქცია ექნება *(აუცილებლად გათვალისწინებულ იქნას ადგილი - მისაღებისა და ცნობათა ბიუროსათვის)*
• სარდაფის გაფართოება 300 მ² *(აქედან ბანკის ნაწილი უნდა შეადგენდეს 150 მ²)*
• ელექტროობა, ცენტრალური გათბობა, ვენტილაცია, დიზელ-გენერატორი
• ერთიანი ავტოსადგომი
• ეზოს მოწყობა სულ - 440 მ²

კონკრეტული საპროექტო დავალებანი:

„თი-ბი-სი ბანკის“ მოთხოვნები

შენობის პირველ სართულზე კომპანიას სურვილი აქვს მოაწყოს რეგიონალური ფილიალი. სავარაუდო გეგმა მოცემულია *(დანართი №1 ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა)*. გეგმამ შესაძლებელია ტრანსფორმაცია განიცადოს „თი ბი სი ბანკის“ მოთხოვნების გათვალისწინებით. აუცილებელია ბანკისათვის სპეციალური ასპექტების დამატებითი დაზუსტება შემსრულებლის მიერ „თი ბი სი ბანკის“ წარმომადგენელთან შეთანხმების საშუალებით. შიდა ინტერიერი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მარჯანიშვილის ფილიალში გამოყენებულ ინტერიერის კონცეფციას.

საერთაშორისო კორპორაცია „აი-სი-არ“ -ის მოთხოვნები

შენობის პირველ სართულზე კომპანია მოაწყობს ავეჯის სალონს, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ორი შესასვლელი:
• საერთო ჰოლიდან
• შენობის ფასადიდან.

კომპანიის კონკრეტული მოთხოვნები

• 3 სამუშაო ოთახი *(სამხარეო მენეჯერის, მაღაზიის მენეჯერის, კონსულტანტების)* - 70 მ² *(სულ)*
• სამზარეულო 12 მ² და ერთი WC 3-4 მ²
• დარჩენილი ფართობი გამოყენებულ იქნას გაყიდვების დარბაზად
• მაქსიმალურ შესაძლებელ ფარგლებში მოხდეს კედლების გახსნა დიდი სივრცის მისაღებად
• საწყობი *(სარდაფში)*

შენობის II სართული

• **საოფისე ფართი.** ოფისების რაოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე, ანუ არსებული ფართი სასურველია ექვემდებარებოდეს ტრანსფორმირებას, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას, რომელიც ამ ფართს იქირავებს, თავად მოახდინოს შიდა დაგეგმარება. საერთო მისაღები
• WC – მინიმუმ 2 დამოუკიდებელი ერთეული

ესკიზური ნახაზების შემადგენლობა

1. სიტუაციური გეგმა – მ. 1:1000
2. გენგეგმა – მ. 1:5000
3. სარდაფის, I, II და III სართულების გეგმები – მ. 1:100
4. ჭრილები: ყველა კიბეზე – მ. 1:100 ან 1:50 და რამოდენიმე სახასიათო განივი და გრძივი.
5. ოთხივე ფასადი: - მ. 1:100 ან 1:50
6. პერსპექტიული ხედები *(ექსტერიერი)*: სასურველია კომპიუტერული დამუშავებით
7. განმარტებითი ბარათი
8. ინტერიერის ესკიზები - კომპიუტერული დამუშავებით
9. ელ. ქსელები, სუსტი დენები: - სქემა
10. ვენტილაცია: – სქემა
11. კანალიზაცია, წყალმომარაგება: - სქემა
12. გარე განათება (ფასადის განათება): - სქემა
13. დაცვის სისტემა: – სქემა
14. სალაროებისა და საცავის მოწყობა ბანკისათვის

კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ:

• არსებული სიტუაციის ფოტომასალა ციფრულ ფორმატში,
• ტოპოგრაფიული გეგმა
• სიტუაციური გეგმა
• გენგეგმა
• შენობის I სართულის გეგმა *(ანაზომი)*
• ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა *(დანართი №1)*
• შენობის II სართულის გეგმა *(ანაზომი)*
• მანსარდის გეგმა *(ანაზომი)*
• სარდაფის გეგმა *(ანაზომი)*
• ჭრილები *(ანაზომი)*
• საკადასტრო რუკა
• შ.პ.ს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ შესრულებული ტოპოგეგმა და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

ესკიზური პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. **ალბომის სახით A 3 ფორმატზე**
2. **ვიზუალიზაცია 3D-ში (რენდერებით)**
3. **ნახაზები: Archi an Auto CAD-ში**

ტენდერში გამარჯვებული დაჯილდოვდება:
I ადგილი - 10 000 ლარი
II ადგილი - 4 000 ლარი
III ადგილი - 2 000 ლარი

სურვილის და შესაძლებლობის შემთხვევაში, გამარჯვებული ესკიზის ავტორი, ბოლომდე აიღებს პასუხისმგებლობას და სამი თვის განმავლობაში წარადგენს პროექტის სრულ პაკეტს *(სრული პაკეტის ხარჯთაღრიცხვა, გადასახადების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 70 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, საპრემიო თანხის (10 000ლ) ჩათვლით).*

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ესკიზის ავტორს არ სურს, ან არ აქვს შესაძლებლობა, ან მის მიერ წარმოდგენილი სრული პაკეტის თანხა აჭარბებს ზემოთ დასახელებულ **70 000 აშშ დოლარს,** კონკურსანტს გადაეცემა პრემია **10 000 ლარის** ოდენობით, ხოლო ესკიზი დარჩება „აი-სი-არის“ საკუთრებაში. კორპორაციას აქვს უფლება, ესკიზის განსახორციელებლად მიმართოს ნებისმიერ სხვა ლიცენზირებულ საპროექტო ორგანიზაციას და ამასთან დაკავშირებით, გამარჯვებული კონკურსანტის მხრიდან პრეტენზიები არ განიხილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **25 დეკემბერი.**

ესკიზური პროექტის ჩაბარების ბოლო ვადა **1 თებერვალს.**

გამარჯვებული გამოვლინდება **15 თებერვალს.**

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ, მისამართზე: ალ. ყაზბეგი №44, II სართული, სტუდია „ჩემი სახლი“.

ტელ: 39-46-17, 39-20-99.
საკონტაქტო პირი:
თამარ წულუკიძე.
გისურვებთ წარმატებას

წიწაკა გულისთვის...

რატომ სჭირდება გულს:



ნიგოზი, აგრეთვე: საფუარი, ღვიძლი, თირკმლები, მცენარეთა მწვანე ფოთლები მათში B ჯგუფის ვიტამინების შემცველობის გამო ხელს უშლის ათეროსკლეროზის პროგრესირებას და დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე.

კალმარები, აგრეთვე: მიდიები, ზღვის კომბოსტო შეიცავს იოდს, რომელიც ათეროსკლეროზის დროს კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე.

კენკრა, აგრეთვე: ბოსტნეული, ხილი, ბურღულეული შეიცავს უჯრედისს — მცენარეულ ბოჭკოებს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის გამოდევნას და ამით ათეროსკლეროზის პროგრესირების პროფილაქტიკას უზრუნველყოფს.

წიწაკა, აგრეთვე: ვაშლი, კამა, ასკილი, ქაცვი, მოცხარი შეიცავს C ვიტამინს, რომელიც ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს.

საზამთრო, აგრეთვე: წიწიბურა, შვრიის ფაფა შეიცავს მაგნიუმს, რომელსაც სისხლძარღვების გაფართოებისა და შარდმდენის უნარი გააჩნია.

ლობიო, აგრეთვე სოია, გარგარი, შავი ქლიავი, ბარდა, შეიცავს კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოყოფას და გულის კუნთის მუშაობის გაუმჯობესებას.

ზეთი, პოლიგაჯერებული ცხიმმჟავების მთავარი წყაროა და კეთილისმყოფელად მოქმედებს ქოლესტერინული მიმოცვლის ნორმალიზაციაზე.

სამშაბათი, 6 დეკემბერი,

1

07.55 "ადრე" **10.00** სერიალი **"ანასტასია"** **11.00** დოკ. ფ. "დღეები, რობლებმაც შეძრა მსოფლიო" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მხიარული ქალაქის პატარა კლოუნები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"რობინსონების ოჯახი"** **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.15** სერიალი **"არასოდეს მისცე წასვლის უფლება"** **17.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფ. "მზის ტყვეები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი **"ანასტასია"** **22.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **23.00** მხ. ფილმი **"საბრძოლო ცეკვები"** (U) **00.30** საინფ. გამოშვება

2

19.00 "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ამბები ბავშვობის შესახებ" **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი **"მუდრო სავანე"**

07.30 დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი **"მოაარული გულები"** **11.00** სერიალი **"იდუმალი ტბა"** **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი **"მოაარული გულები"** **16.40** სერ. **"ამაბოხე სული"** **18.30** პატრული **19.30** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **22.00** "ჯეობარი" **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.40** **ჩემპიონთა ლიგა.** მილანი-შალკე **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** პატრული

07.00 იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.15** სერ. **"საბრალო ნასტია"** **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 04.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25** ტვ-მარკეტი **13.40** ნ. ქავთარაძის შოუ **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.55** ქრონიკა **15.20** სერიალი **"მოჯადოება"** **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** "ნაცნობი საქართველო" **18.05** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.55** სერ. **"საბრალო ნასტია"** **21.55** "პირველები" **23.30** მხ. ფილმი **"ამბავი ოდრი ჰეპბერნისა"** (U) **03.05** სერიალი **"თამაში გავარდნაზე"**

08.30 მუსიკა **09.00** ანიმაც. ფილმი "ბიჭუნა და კარლსონი" **09.30** სერიალი **"ასა"** **10.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55** მზერა **11.05** სერიალი **"ქვიშის თოჯი"** **12.05** ფეხბურთი. ბოლტონი-არსენალი **14.05** სერ. **"გვერდი-გვერდ"** **15.05** ფეხბურთი. ლივერპული-არსენალი **16.55** მზერა **17.05** სერ. **"გვერდი-გვერდ"** **17.35** ანიმ. ფილმი "ბიჭუნა და კარლსონი" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.05** საფეხბურთო მიმოხილვა - ინგლისი **19.00, 19.30** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** "მზერა", ბაბაჯანა **20.50** რუსული ფილმი **"უთავო მხედარი"** (U) **22.30** სერიალი "ასა" **23.00** გადაცემა "ტაბუ" **00.00** მხ. ფილმი **"ბოროტების ძალა"** (18) (ჯეფრი კერი)

10.00 "ტვ-შოპი" **11.00, 17.20, 22.00** Style-TV **15.45** "ბიზნესი და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი **"რობოკოპი"** (U) (პეიჯ ფლეტჩერი) **00.30** "ტვ-შოპი"

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია **"ჩერჩილის პოლივუდური წლები"** **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკუმენტური ფილმი **11.30** "ვიცინოთ ერთად" **11.45** მხ. ფ. **"დიდი გამოცდა"** **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** ფანტასტიკა **"ბოროტების ბინადარი"** **16.30** მულტსერიალი **17.50** "პროექცია" **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** დოკუმენტური ფილმი **22.00** "პარალელი" **22.30** ბოევიკი **"მგლების იმპერია"** **01.00**"შესანიშნავი შვიდეული"

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— 1988 წელს გავედი პენსიაში. 33 წელი უწყვეტად ვმუშაობდი ერთ მაღაროში. ვიღებ პენსიას თვეში მხოლოდ 28 ლარის ოდენობით, რაც უკანონოდ მიმაჩნია.

გთხოვთ განმიმარტოთ, გამეზრდება თუ არა პენსია 2006 წლის იანვრიდან ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ?

გარდა ამისა, გთხოვთ მაცნობოთ 36 ლარიან ხელფასზე იქვითება თუ არა საშემოსავლო გადასახადი და თუ იქვითება, — რამდენი?

გრიგოლ კანდელაკი

— ჯერ-ჯერობით გაურკვეველია შევა თუ არა 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში კანონი სტაჟისა და ხელფასის მიხედვით პენსიის გამოანგარიშების შესახებ.

კარგად გვესმის თქვენი გულისტკივილი, — მაღაროში 33 წლის უწყვეტად მუშაობის შემდეგ მხოლოდ 28 ლარი პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა მისი გადიდების შესახებ.

კანონში ცვლილებების შეტანისთანავე მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით.

* * *

— ვარ მარტოხელა დედა, მყავს ერთი შვილი. ამ რამდენიმე თვის წინათ შემამცირეს. ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციას მარტოხელა დედის შემცირების უფლება?

მანანა ჯღარკავა

— გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, მუშათა რიცხვის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან. თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა ეძლევა: ოჯახის მეპატრონეს — თუ კმაყოფაზე ჰყავს ორი ან მეტი პირი, ასევე მარტოხელა დედებს და ქალებს, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი.

ჩვენს მიერ მოცემული განმარტების შემდეგ, თუ თქვენ კვლავ ჩათვლით, რომ არასწორად გაგათავისუფლეს სამუშაოდან, კანონით მონიჭებული უფლების დასაცავად, გირჩევთ მიმართოთ პროფკავშირულ ორგანოებს, ხოლო მათი პასუხით უკმაყოფილების შემთხვევაში, — სასამართლოს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

განცხადება

2005 წლის 28 დეკემბერს 12 საათზე შედგება თბილისის ს/ს „ლაინის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შესახებ.
3. შპს-ის დაფუძნების შესახებ

მისამართი: ბოჭორმის ქ. №25.

კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან შპს „ICT დელამენ“, მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №153.

ს/ს „ლაინის“ სამეთვალყურეო საბჭო.

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
5	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
6	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
7	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
8	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
9	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
10	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
11	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
12	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
13	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]		
14	[illegible]	[illegible]	[illegible]			[illegible]	[illegible]
15	[illegible]	[illegible]	[illegible]			[illegible]	[illegible]
16	[illegible]	[illegible]	[illegible]			[illegible]	[illegible]

შპს „პრემიერკომპანის“ (რეგისტრაციის № 06/4-976) პარტნიორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს საზოგადოების ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ლიკვიდატორს ნიკოლოზ ყანდიაშვილს. მის: **ქ. თბილისი, ქიაჩელის ქ. № 4; ტელ: 999433.**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ყველა სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის უნდა გამოცხადდნენ **2006 წლის 23 იანვარს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №9.**

რექტორატი
რექტორი პროფ. რ. კაკუბავა.

სააქციო საზოგადოება „ფოთის მაცივარკომბინატის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 27 დეკემბერს 14 სთ ქ. თბილისში, კოსტავს № 8.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ დირექტორატს იგივე მისამართზე: **ტელ: 899 19 45 40.**

დღის წესრიგის საკითხად შეტანის შესახებ მოთხოვნები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 15 დეკემბრამდე.

დირექტორატი.

MercyCorps

მერსი ქორის საქართველოს წარმომადგენლობა ახორციელებს სათემო განვითარების პროექტებს ქვემო ქართლში, რომელიც ფინანსირდება BTC/SC მიერ.

ამჟამად მერსი ქორი გეგმავს ქ. რუსთავში მე-19 მიკრორაიონში საცხოვრებელ კორპუსებთან გზის რეაბილიტაციას, კერძოდ ასფალტის დაგებას 1 510 კვადრატულ მეტრის ფართობზე.

დაინტერესებული ორგანიზაციები დოკუმენტაციის მისაღებად და ადგილის დასათვალიერებლად უნდა დაუკავშირდნენ მერსი ქორის თბილისის ოფისს შემდეგ ტელეფონებზე არა უგვიანეს **2005 წლის 8 დეკემბრისა (17:00)**

ტელ: 25-24-71; 25-24-72; 25-24-73. მობ: 899 33-05-53

საკონტაქტო პირი: მიხეილ სარალიშვილი უფროსი შესყიდვების ოფისერი.

მოთხოვნა: ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (ქ. ფოთი 4401, დ. აღმაშენებლის ქ. №52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა №117253900, კოდი: 220101535); Bank of Georgia 0105 Tbilisi, Georgia, Cwift: BAGAGE 22, Gorr.acc. „400213605. LTD POTI SEA PORT“ აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს: ახალი საზღვაო ბუქსირის შესყიდვაზე და გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 შესყიდვის ობიექტი

- **ახალი საზღვაო ბუქსირი დამზადებული უნდა იყოს საერთაშორისო მეთვალყურეობით და ზედამხედველობით;**
- **ცურვის რაიონი A -1;**
- **თანამედროვე სანავიგაციო მოწყობილობებით აღჭურვილი;**
- **სიმძლავრე 3000÷3200 ცხენის ძალა;**
- **არანაკლებ 35 გემთსაბმელის წევით;**

2. საქონლის მოწოდების სასურველი ადგილი და ვადა.

- საქონლის მოწოდება სასურველია პირობით CIF ფოთი, საქართველო;
- საქონლის მოწოდების სასურველი ვადა: 2006 წლის პირველი კვარტალი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა „მომწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2005 წლის 20 დეკემბრიდან 2005 წლის 29 დეკემბრის 16 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ). ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისთვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ აქვთ თუ არა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო ფონდებისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური საქონლის მიწოდება და ღირებულება.

დ. უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ფორმები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, აუდიტორული დასკვნები)

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება 2006 წლის 05 იანვრიდან 2006 წლის 13 იანვრის 16⁰⁰ საათამდე. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 13 იანვრის 16⁰⁰ საათამდე.

8. სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ ენაზე, ქართველმა „მომწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მომწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია-სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით.

ა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულებამდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №52, შპს 'ფოთის საზღვაო ნავსადგურის" შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

**შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
ვლადიმერ ხოხობაია**

განცხადება

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005 წლის 1 დეკემბრის № 1-3/680 ბრძანების თანახმად მიმდინარეობს სს „ვაზიანი-2000“-ის ლიკვიდაცია.

კრედიტორებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ
მისამართზე: დაბა ვაზიანი. ტელ: 899 57-71-71

ლიკვიდატორი თ. იმნაძე

კალათბურთი

სახიფათო დევნა



კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზული დანაკლისია — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არბიტრები ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი. შესაბამისად 3 და 1 მატჩით არიან დისკვალიფიცირებულნი (წინა ტურში რუსთავის „აზოტისა“ და თსუ „ნიკორას“ შეხვედრაში დაშვებული შეცდომებისათვის) და გუშინ თავის გამოჩენის საშუალება მათ ახალგაზრდა კოლეგებს მიეცათ.

სტუ — სსუ 111:78 (19 ქულა)
თორთლაძისა (27 ქულა) და ხოშტარიას ძალისხმევით ზღვისპირელებმა პირველი ტაიმის მოგება მოახერხეს, რაც მათი შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოადგენს — შესვენების შემდეგ ხეცურიანი (29 ქულა) და შანიძე (17 ქულა) შეუჩერებელნი გახდნენ, რაც საკმარისი აღმოჩნდა პოლიტექნიკოსთა მორიგი გამარჯვების მოსაპოვებლად.

„ავიამშენი“ — „აზოტი“ 88:78
კიდევ უფრო დიდხანს ანერვიულეს ფავორიტი რუსთაველებმა — ბოლო პერიოდის წინ სტუმრები 8-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ — 69:61, რაც არწივიძის, გოგობერიშვილის, ლიპარტელიანისა და ჭოჭუას დამსახურება გახლდათ. ავიატორებს მძიმე მოგება დასკვნით პერიოდში გამოცოცხლებულმა მინაშვილმა, მარკოიშვილმა და ხოშტარიამ მოუტანეს.

დანარჩენი შედეგები: „მაქაბი“ — ქუთაისი 88:84, თსუ „ნიკორა“ — „დინამო“ 95:76.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

მისაბაძი მაგალითი

როცა გული გულობს

შარშან ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროპის პატიმართა საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაცია დაფუძნდა (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე — კარელ კულა). იქ გასაწევრებლად საქართველოს პენიტენციალური სისტემის წარმომადგენლებიც ილვწიან და ამ გზაზე უკვე პირველი სოლიდური ნაბიჯიც აქვთ გადადგმული: შესაბამისი შინაარსის განაცხადი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაშია წარდგენილი, საიდანაც წინასწარი თანხმობაც აქვთ მიღებული.

უცხოელ კოლეგებთან კონტაქტები და ავტორიტეტულ სტრუქტურებში ინტეგრირება, იცოცხლეთ, ჩინებული საქმეა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, იდეები იდეებად დარჩება, თუ უპირველესი ყურადღება ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირების ღირსეულად გამართვას არ მიექცევა.

ამ მხრივ რომ ვითარებას სასიკეთო პირი უჩანს, ახლახანს დასრულებულმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველობამაც დაადასტურა, სადაც მთავარი ჯილდოსთვის ერთმანეთს 10 გუნდი ეცილებოდა.

დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძისა და ასპარეზობის სულისჩამდგმელის, ახლო წარსულში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯის ტრისტან ნიშნიანიძის ძალისხმევით სამაგალითოდ ორგანიზებული შეჯიბრების პრიზიორები გახდნენ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა ზედამხედველობის სამსახური, ქსნის №7 დაწესებულება და სწრაფი რეაგირების სპეცდანიშნულების რაზმი.

23 დეკემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნაკრები „ზენდელას თასის“ ტრადიციულ, XIV გათამაშებაში ჩაებმება, სადაც, უკონკურსოდ პატიმართა გუნდის თამაშიცაა ნავარაუდევი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. XIV ტური. „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 1:2, „კიევო“ — „მილანი“ 2:1 (ანგარიში **კალაძემ** გახსნა), „ინტერი“ — „ასკოლი“ 1:0.

ლიდერთა ჯგუფი: „იუვენტუსი“ — 39, „მილანი“ — 31, „ინტერი“, „ფიორენტინა“ — 29-29 ქულა.

ბომბარდირი: ტონი („ფიორენტინა“) — 16 გოლი.

შემდეგი ტური: „იუვენტუსი“ — „კალიარი“, „ინტერი“ — „მილანი“, „ფიორენტინა“ — „ტრევიზო“.

ესპანეთი. XIV ტური. „ვილიარეალი“ — „ბარსელონა“ 0:2, „მალაგა“ — „ოსასუნა“ 1:2, „სელტა“ — „ბეტისი“ 2:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ბარსელონა“, „ოსასუნა“ — 31-31, „სელტა“ — 26 ქულა.

ბომბარდირი: ეტოო („ბარსელონა“) — 12 გოლი.

შემდეგი ტური: „ბარსელონა“ — „სევილია“, „ოსასუნა“ — „მალიორკა“, „სარაგოსა“ — „სელტა“.

ინგლისი. XV ტური. „ჩელსი“ — „მიდლსბრო“ 1:0, „მანჩესტერი“ — „პორტსმუთი“ 3:0, „ლივერპული“ — „უიგანი“ 3:0.

ლიდერთა ჯგუფი: „ჩელსი“ — 40, „მანჩესტერი“ — 30, „ლივერპული“ — 28 ქულა.

ბომბარდირები: ნისტელროი („მანჩესტერი“), ლამპარდი („ჩელსი“) — 11-11 გოლი.

შემდეგი ტური: „ჩელსი“ — „უიგანი“, „მანჩესტერი“ — „ევერტონი“, „ლივერპული“ — „მიდლსბრო“.

გერმანია. XV ტური. „შტუტგარტი“ — „ბაიერნი“ 0:0, „ჰამბურგი“ — „კიოლნი“ 3:1, „ვერდერი“ — „დუისბურგი“ 2:0.

ლიდერთა ჯგუფი: „ბაიერნი“ — 38, „ჰამბურგი“ — 34, „ვერდერი“ — 32 ქულა.

ბომბარდირი: კლოზე („ვერდერი“) — 14 გოლი.

შემდეგი ტური: „ბაიერნი“ — „კაიზერი“, „ჰამბურგი“ — „ჰერტა“, „კიოლნი“ — „ვერდერი“.

საფრანგეთი. XVII ტური. „ლიონი“ — „პსჟ“ 2:0, „ოსერი“ — „ნანტი“ 4:0, „ბორდო“ — „ლილი“ 1:0.

ლიდერთა ჯგუფი: „ლიონი“ — 43, „ოსერი“ — 32, „ბორდო“ — 31 ქულა.

ბომბარდირი: პაულეტა („პსჟ“) — 10 გოლი.

შემდეგი ტური: „სენტ ეტიენი“ — „ლიონი“, „მარსელი“ — „ოსერი“, „ლე მანი“ — „ბორდო“.

ჰოლანდია. XIV ტური. „ეინდჰოვენი“ — „ბრედა“ 3:0, „ალკმაარი“ — „ჰერენვეენი“ 2:1 (ანგარიში **არველაძემ** გახსნა), „როზენდალი“ — „ფეიენოორდი“ 2:2.

ლიდერთა ჯგუფი: „ეინდჰოვენი“ — 35, „ალკმაარი“, „ფეიენოორდი“ — 32-32 ქულა.

თაობა

მზე აღმოსავლეთიდან ამოვიდა

ხომ გაგიგონიათ — ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. კვირას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გასულ საუკუნეში დამკვიდრებული დიდებული ტრადიცია აღადგინა — ავლაბრის სტადიონსა და „ოლიმპის“ სკოლაში 1990-1991 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა სასელექციო მნიშვნელობის მატჩები გამართა: „აღმოსავლეთი“ — „დასავლეთი“.

ქართული ფეხბურთის უახლოესი რეზერვის ერთგვარმა დათვალიერებამ უამრავ მაყურებელს მოუყარა თავი, რასაც ხელი მზიანმა ამინდმაც შეუწყო. რაც შეეხება თვით შეხვედრებს, ისინი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, რაზეც შედეგებიც მეტყველებს:

უფროსები. „აღმოსავლეთი“ — „დასავლეთი“ (I გუნდები) 6:0. გოლები — ფაილოძე (3), ბეგლარიშვილი (2), ყენია. „აღმოსავლეთი“ — „დასავლეთი“ (II გუნდები) 3:0. გოლები — ბეროშვილი (პენალტით), თურმანიძე, შონია. აღსანიშნავია, რომ პირველი წყვილის დუელში სარბიელზე გიორგი ნემსაძის, მალხაზ მახარაძისა და გოჩა ტყებუჩავას ვაჟები ვიხილეთ. ვინ იცის, იქნებ შვილებმა აჯობონ მამებს.

უმცროსები. „აღმოსავლეთი“ — „დასავლეთი“ (I გუნდები) 2:0. გოლები — მეუნარგია, მამაცაშვილი. „აღმოსავლეთი“ — „დასავლეთი“ (II გუნდები) 0:0.

ასე რომ, ლიხსაქეთელებმა სტუმრებს საერთო ჯამში 11 (!) უპასუხო გოლი გაიტანეს.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.



ჭიდაობა

ასლან აგაევის პრიზზე

აზერბაიჯანის პატარა ქალაქ ასტარამში გაიმართა ჭაბუკ ფალავანთა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ასლან აგაევის სახელობის თასზე.

მასპინძლებმა აღნიშნულ საკლუბო შეჯიბრებაში რამდენიმე გუნდი გამოიყვანეს. ასპარეზობაში ლევან თედიაშვილის სახელობის მოზარდთა და ბავშვთა ჭიდაობის ოლიმპიური მზადების ცენტრის ნაკრები გუნდიც ცდიდა ძალებს.

ოქროს მედლები მოიპოვეს თორნიკე კიკაბიძემ (69 კგ), გაგა სამხარაძემ (76 კგ) და ფრიდონ ბაბუნიძემ (85 კგ). მეორე საპრიზო ადგილი ხვდა გიგა ზარანდიას (76 კგ). ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ — გიორგი ბოზაშვილი (58 კგ), ზაზა ჯიქიძე (63 კგ), ლევან აბრამიშვილი (69 კგ) და მიხეილ ლეკბორაშვილი (76 კგ).

შოთა ბოკერია

სპორტულ ორბიტაზე

გამოცდები მოიცდის

ძალზე გაუმართლა საუდის არაბეთის მოსწავლე-ახალგაზრდობას. ამ ქვეყნის სკოლის მოსწავლეებსაც და სტუდენტებსაც შეუძლიათ მშვიდად უყურონ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციას გერმანიიდან ისე, რომ არ იფიქრონ გამოცდებზე. გაითვალისწინარა, რომ ახალგაზრდობა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გამოცდებისათვის კი არ მოემზადება, არამედ ტელევიზორებთან იჯდება ფეხბურთის მატჩების საყურებლად, საუდის არაბეთის მთავრობამ გადაწყვიტა, საგამოცდო სესიები, რომელიც ამ ქვეყანაში ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში იმართება, გადაიტანოს უფრო გვიანი დროისათვის.

როგორც იცით, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 9 ივნისს იწყება, ისე რომ, ვადებით ემთხვევა გამოცდებს საუდის არაბეთში. ახლა მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ტელევიზორებსაც გულარხეინად უყურონ (გერმანიაშიც კი გაემგზავრონ, თუკი ამ ქვეყანაში არსებულ დიდ შემოსავლებს გავითვალისწინებთ), შემდეგ კი, ფეხბურთით გულს რომ მოიოხებენ, წლის მანძილზე მიღებულ ცოდნის ანგარიშიც ჩააბარონ.

თუმცა საკითხავია, ახალგაზრდა არაბებს რამდენ ხანს მოუწევთ თავიანთი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ქომაგობა, თუ გავითვალისწინებთ წინა მსოფლიო ჩემპიონატის გამოცდილებას. მაშინ არაბეთის ნაკრები ხომ ტურნირის ყველაზე უარეს გუნდად მიიჩნიეს, რომელიც სამ მატჩში საერთო ანგარიშით 0:12 დამარცხდა. აქედან გერმანიის ნაკრებთან 0:8, რაც ყველაზე დიდი ფიასკო იყო მსოფლიო პირველობაში მონაწილე გუნდებისთვის 1982 წლიდან მოყოლებული.

სიყვარულმა სტადიონზე მიიყვანა

ოცდასამი წლის კლარა მორგანი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პორნოვარსკვლავია. ის „პენტჰაუსის“, „პლეიბოის“, ფრანგულ VSD და FHM-ის მოდელია. ის ექვს ფილმში მონაწილეობს, რაც მისთვის საკმარისი აღმოჩნდა ფრანგული ეროტიკული კინოს პირველ ვარსკლავად გახდომისთვის. ფილმში „ისიყვარულე კლარა მორგანთან“ (2001) მთავარი როლის შესრულებისთვის მას კანის ფესტივალზე „ცხელი ოქრო“ მიანიჭეს, პრესტიჟული ჯილდო „საუკეთესო დებიუტისათვის“. ფილმები მისი მონაწილეობით ფენომენალური წარმატებით სარგებლობს.

კლარა მორგანი მისი ფსევდონიმია, რასაც თავად ასე ხსნის: კლარა ძალზე ლამაზი სახელია და ნიშნავს ვნებას, მორგანი კი — გიყვარდეს. ამიტომ დიდი ხანია ჩემთვის ეს სახელი ავირჩიე...

ახლახან პორნოვარსკვლავმა ფეხბურთელი შეიყვარა — კლუბ პსჟ-ს თავდამსხმელი პედრო პაულეტა. მის გასაცნობად კლარა ფეხბურთზე წავიდა და მატჩის ბოლოს გასახდელშიც შეაღწია, სადაც მხოლოდ პორტუგალიელი ფეხბურთელი კი არა, მისი კოლეგებიც გაიცნო.

ჩემპიონი

კვარცხლბეკიდან სამშობლო კარგად მოჩანს

ლასლო პაპის სახელობის დარბაზში ფეხზე მდგარი გულშემატკივრები დიდხანს უკრავდნენ ტაშს სახეგაბადრულ ფალავანს, რომელმაც ხუთჯვრიანი დროშით საჭიდაო ხალიჩას შემოურბინა. ის ჭაბუკი კოლაგელი რევაზ მინდორაშვილი გახლდათ. სექტემბრის მიწურულს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მან ოქროს მედალი დაიმსახურა.

— შარშან ათენის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ ისე ვიყავი დათრგუნული, რომ ჭიდაობისთვის თავის დანებებაც კი მინდოდა, — შორიდან დაიწყო თხრობა რევაზ მინდორაშვილმა, — ხან თბილისში ვფლანგავდი დროს, ხან — კოლაგში, გულს ვერაფერს ვუდებდი. შემოდგომით ჩემმა მეგობარმა ლუკა კურტანიძემ შემომთავაზა, ირანის გუნდურ ჩემპიონატში ვიჭიდაოთო. სხვა რა საქმე მქონდა, მეც დავთანხმდი. ზედიზედ რვა შეხვედრა მოვიგე. მაშინ მივხვდი, რომ ჩემი „ჩამოწერა“ ნაადრევი იყო.

— ამის მიუხედავად, წლევანდელი სეზონი მაინც უიღბლოდ დაიწყო...

— ეროვნული ჩემპიონატის გარდა, თითქმის ყველგან ხელი მომეცარა. ადრე გაზაფხულზე ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებისას გზაში გავცივდი და შეჯიბრებაზე არ გამოვსულვარ. ევროპის ჩემპიონატზე უკრაინელ ტარას დანკოსთან ნახევარფინალური ორთაბრძოლა წავაგე, დაღესტნის საერთაშორისო ტურნირზე კუბელ რომეროსთან პირველსავე შეხვედრისას წარბი გამისკდა და ოთხი ნაკერი დამადეს. მერე ნანემსარი გამიმიზეზდა და თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის სერიოზულად ვერ მოვემზადე. კიდევ კარგი, მესამე ადგილი დავიკავე, თორემ, საერთოდ, ნაკრებში ვერ მოვხვდებოდი.

— და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონიც არ გვეყოლებოდა.

— ჩემპიონობას ვინ ჩივის, მაშინ მეორედ გავიფიქრე ხალიჩიდან წასვლა.

— ხელახლა რამ შეგაგულიანა?

— ცოლის მოყვანამ... ნუ გეცინებათ, მართლაც ეგრე იყო. ხელმოცარულს იქნებ დაოჯახებამ მიშველოსმეთქი. ჰოდა, ავდექი და მეც მოვიყვანე.

— ასე უცებ?

— რატომ უცებ. მე და თამილა, თორმეტი წელიწადია, ერთმანეთს ვიცნობთ. მამამისი მოჭიდავე იყო და თბილი ურთიერთობა გვქონდა. იმ დღეს რომ დავფიქრდი, ვინ შევირთო-მეთქი, უცებ გონებაში თამილას სახე ამოტივტივდა. ჩემდა შეუმჩნევლად შემყვარებია. მეც ავდექი და კახურად პირდაპირ ვუთხარი — ჩემი ბედი ყოფილხარ და ცოლად გამომყე-მეთქი.

— რა გითხრა?

— მე და რეზო ადრეც ვმეგობრობდით, — ჩაერია საუბარში თამილა, — ხშირად ტელეფონითაც ვსაუბრობდით. როცა ცუდ ხასიათზე იყო, ლექსებს ვუკითხავდი და ვამხნევებდი. იმ დღეს გულის ნადები რომ გამიმხილა, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რადგან, დიდი ხანია, ვგრძნობდი, რომ რეზო მიყვარდა.

— ბიჭები ასე ამბობენ, ცოლი რომ არ მოეყვანა, ჩემპიონი ვერ გახდებოდაო, მართალია?

— (ეცინება). ყველაფერს მე ვერ დავიბრალებ, მაგრამ რეზოს ჩემპიონობაში ჩემი წვლილიც ნამდვილად არის. ბორჯომში ბოლო შეკრებაზე რომ იყო, დავურეკე და ვუთხარი, კარგად მოემზადე, ბუდაპეშტში სამი ადამიანის სახელით მოგიწევს ჭიდაობა-მეთქი. რატომ სამისო, მკითხა. შვილი გვეყოლება-მეთქი, ვახარე. სწორედ იმ დღეს ვიყავი ექიმთან.

— აბა, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა — მამა უნდა გავხდე. მიწაზე ფეხს არ ვაკარებდი, ისე დავდიოდი. ბიჭები მილოცავდნენ და მაგულიანებდნენ — ასეთი სიხარულის მონიჭებისთვის თამილას ოქროს ჯილდო უნდა უძღვნაო. მეც გაორკეცებული ენერგიით განვაგრძე ვარჯიში, მსოფლიო ჩემპიონატს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდი.

— ეკრანზე მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა ვიხილეთ. ლასლო პაპის დარბაზში მეტოქეთა ძლევა ხომ არ გაგჭირვებია?

— კანადელ ტრევის კროსს და იტალიელ ანტონიო ფასუნგას მშრალი ანგარიშებით (2:0) მოვუგე. მესამე წრეში ყაზახი მაგომეგ კურუგლიევი ჩამოვიშორე გზიდან (2:1). უწინაც ორჯერ მყავდა იგი დამარცხებული. ნახევარფინალში რუსეთელ საჯიდ საჯიდოვს შევხვდი. იგი მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორია. მასთანაც დაძაბულ ორთაბრძოლაში ქულით გავიმარჯვე. ფინალშიც ძლიერი ფალავანი მყავდა მეტოქედ — ოლიმპიური თამაშების ვიცე-

— რეზოს ფინალურ ჭიდაობას რუსეთის ტელევიზიით ვუყურე, — კვლავ ჩაერია საუბარში თამილა, — ადგილს ვერ ვპოულობდი. რეპორტაჟის წამყვანმა გულდაწყვეტით თქვა, ქართველმა ფალავანმა ჩვენი იმედი საჯიდ საჯიდოვი კი დაგვიმარცხა, მაგრამ ფინალში მაინც მინდორაშვილის ქომაგი ვართო. რეზომ ორთაბრძოლა რომ მოიგო, რუსმა შეაქო კიდეც. სიტყვები ზუსტად არ მახსოვს. იმ წუთას უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი.

— ძნელია მსოფლიო ჩემპიონის ცოლობა?

— სრულებითაც არა. ბუდაპეშტიდან დაბრუნების შემდეგ რეზო არც შეცვლილა. იგი დაოჯახებამდე თბილისში, ფაქტობრივად, მარტო ცხოვრობდა, ამიტომ კერძების მომზადებაც ეხერხება. პრეტენზიული და ჭირვეული არ არის, ბოლო დროს რომ ხედავს, გარკვეული მიზეზების გამო, ყველაფრის გაკეთებას ვერ ვასწრებ, საოჯახო საქმეებშიც მეხმარება.

— მაშ, ხალიჩიდან სამზარეულოში გადაინაცვლე? — კვლავ რეზოს ვეკითხები.

— არც მასეა საქმე. მე ჯერ კიდევ ერთი შეთქმული პირობა მაქვს შესასრულებელი — ოლიმპიური მედალი უნდა მოვიპოვო. ათენში არ გამიმართლა, ოცნება პეკინში უნდა ავისრულო...

ბუდაპეშტიდან დაბრუნების შემდეგ რევაზ მინდორაშვილს ვარჯიში არ შეუწყვეტია. ირანშიც იჭიდავა იქაურ გუნდურ პირველობაზე.

ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების სამივე ხარისხის მედლის მფლობელი კუბელი იოველ რომერო, რომელთანაც დაღესტნის ტურნირზე წაგებისთვის რევანში უნდა ამელო და ეს შევძელი კიდეც. გახარებულმა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა შემოვიხვიე და საჭიდაო ხალიჩას შემოვურბინე.

კვარცხლბეკზე ვიგრძენი, რომ მიზანს მივაღწიე და დაძაბულობისგან გავთავისუფლდი. საკუთარი თავის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულებამ სიამაყის გრძნობით ამავსო. იქიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ მიცურავდა ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა მაღლა, იმის იქით კი სამშობლო და ოჯახი ჩანდა.

საღარბაზო ბარათი



დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. ჭიდაობა 1990 წელს დაიწყო დავით გონაშვილის ხელმძღვანელობით. 1994 წლიდან მარლენ ოსეყმაშვილთან ვარჯიშობს. კონსულტანტობას ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გურამ სალარაძე უწევს. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. ექვსჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. ევროპის ჩემპიონატებში 2000 წლიდან მონაწილეობს. 2002 წელს ბრინჯაოს მედალი ერგო, მომდევნო წელს ჩემპიონი გახდა, შარშან კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის „ბრინჯაოს“ პრიზიორია. 2005 წელს კი ანალოგიურ შეჯიბრებაზე ბუდაპეშტში I ადგილი დაიკავა. 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა.

ჰყავს მეუღლე — თამილა ბარაბაძე, თბილისის 166-ე სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ვაჟა დანელია

სურათებზე: რევაზ მინდორაშვილი მეუღლესთან ერთად; გამარჯვების სიხარული.

⊙ საეკლესიო კალენდარი

წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლი ოსვენციმის ბანაკში აღსრულებული

6 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს იხსენიებს, რომელიც დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს, სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში.

გრიგოლ ფერაძის მამა მღვდელი იყო, წმინდა გრიგოლმა დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი და სასულიერო სემინარია დაამთავრა თბილისში, შემდეგ სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე; 1921 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. მალე ის საქართველოს ეკლესიის მიერ გაიგზავნა გერმანიაში, სადაც შემდგომში ღვთისმეტყველებას ეუფლებოდა, 1922-1925 წლებში ბერლინის უნივერსიტეტში, მერე კი — ბონის უნივერსიტეტში... 1927 წლიდან სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა უძველეს ხელნაწერებს.

1927 წლის ივლისში გრიგოლ ფერაძე დაინიშნა ბონის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტის თანამდებობაზე, მალე იგი ოქსფორდში მიიწვიეს საქართველოს ისტორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად... 1931 წელს გრიგოლი ბერად აღიკვეცა, მღვდელ მონაზვნის ხარისხიც მიიღო და პარიზის ქართულ ეკლესიაში დაინიშნა მოძღვრად. 1932 წლიდან, მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო — აირჩიეს მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის პროფესორად ვარშავაში. წმინდანის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან. მთელ თავის სახსრებს ის ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ავსტრალიაში, რუმინეთში ქართული ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ცნობების მოძიებას.

... გრიგოლ ფერაძემ დაარსა ქართული ეკლესია პარიზში და სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა".

1942 წელს გრიგოლ ფერაძე ვარშავაში დააპატიმრეს. შემდეგ ის გადაიყვანეს ბანაკ ოსვენციმში... მამა გრიგოლ ფერაძე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

1995 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

⊙ თითქმის ნატურიდან

ქოსატყუილები

ქუჩაში ორნი მიდიოდნენ, ერთი — სქელი, მეორე — თხელი. უცებ შეჩერდნენ და ერთმანეთს შეუტიეს.

— რა ბუღასავით მაწვები? — აყვირდა თხელი, — ლამის ჭადარს დავეჯახე.

— ღირსი ხარ და გაწვები! — ხმას აუწია სქელმაც.

— რატომ, ძმაო, რა დავაშავე?

— ისა, რომა ქოსატყუილა გამოდექი.

— რა მოვიტყუე?

— ხალხს კარგ ცხოვრებას შეჰპირდი და არ შეასრულე.

— მე არ შევასრულე თუ პრეზიდენტმა?

— ორივემ, საერთოდ, ნაციონალები ქოსატყუილები აღმოჩნდით.

— შენ რა, როცა ხალხს ვპირდებოდით, ჩვენთან ერთად არ იყავი?

— ვიყავი, მაგრამ აღარა ვარ. მე მახსოვს, რასაც ვპირდებოდით, თქვენ — არა. ესე იგი, თქვენ სკლეროზი გაქვთ, მე — არა.

— ცრუობ, ჩვენ არავინ მოგვიტყუებია.

— აი, დოკუმენტები (სქელი ჯიბიდან ქაღალდებს იღებს და ცხვირწინ უფრიალებს), აქ ყველაფერია ჩაწერილი.

— პირიქით, იმაზე მეტი შევასრულეთ, რასაც შევპირდით, — თავისაზე დგას თხელი.

— კონკრეტულად?

— აი, თუნდაც პენსიები, ძალიან მოკლე პერიოდში ჩვენ ის გავაორმაგეთ. თვით შევარდნაძესაც კი, რომელსაც პენსიონერებისთვის 14 ლარზე მეტი არ ემეტებოდა, შევიბრალეთ და 28 ლარი დავუნიშნეთ.

— ისევ შევარდნაძეს ეფარებით არა?

— რატომ შევარდნაძეს, ჩვენს გვერდით დგას პენსიონერთა 96 პროცენტი, რომლებსაც მომავალ წელს ორჯერ 5-5 ლარი კიდევ მიემატებათ. მაჩვენე მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელსაც პროცენტულად პენსიების ასეთი ზრდა აქვს და გავჩუმდები.

— პროცენტებს თავი გაანებე, მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებს რამდენი ექნებათ?

— სწორედ იმათ ჩამოვაკელით, ამიერიდან 560 ლარზე მეტ პენსიას ველარავინ მიიღებს.

— მერე ეს არის თქვენი სამართალი, პენსიონერთა 4 პროცენტი გაანებივრეთ და 96 პროცენტი მშიერი დატოვეთ?

— პრეზიდენტი გვყავდეს კარგად, თორემ მშიერი არავინ დარჩება. ვერა ხედავ, ყოველდღე ახალ-ახალი უფასო სასადილოები იხსნება.

— უფასო სასადილოები სწორედ იმის დასტურია, რომ ხალხი მშიერია. თუ ხალხისთვის სიკეთე გინდათ, უფასო სასადილოები კი არა, საწარმოები უნდა გაუხსნათ და დაასაქმოთ.



— გვაცალეთ, ბატონო, ყველაფერს ერთბაშად ხომ ვერ გავაკეთებთ. ჯერ პენსიები გავზარდეთ, გზები შევაკეთეთ, სახლები შევღებეთ, შადრევნები გავხსენით, ხვალ სხვა საქმეებს შევებმებით.

— შადრევნები არ გიშველით, შენ ის მითხარი, პენსიებს რატომ სტაჟისა და დამსახურების მიხედვით არ იძლევით?

— ჩვენ ეს პირობაში არა გვქონია.

— აი, თუ არა გქონიათ (სქელმა დოკუმენტები ისევ დააძრო).

— რომც გვქონდეს, ვერ გავაკეთებთ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არადემოკრატიულია. შენ თვითონ არ თქვი, ხალხი უმუშევარია... ასეთ პირობებში ჩვენ რომ პენსიონერები სტაჟისა და დამსახურების მიხედვით დავყოთ, ეს დიდ სოციალურ უკმაყოფილებას და ახალ რევოლუციას გამოიწვევს.

— მაგ რევოლუციას მაინც ვერ ასცდებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას „ვარდებისა" კი არა, „ეკლებისა" ერქმევა.

— მაგის იმედად ტყუილად იქნებით, ხალხი ახალ რევოლუციას აღარ დაუშვებს.

— სწორედ ეს ხალხი ისევე გაგრეკავთ ხელისუფლებიდან, როგორც მოგიყვანათ.

— წადი შენი...

— ვის აგინებ, შე ლაწირაკო... — გაიწია სქელმა, — ისეთსა გხეთქავ, ეგ დაბრეცილი თვალები ასაკრეფი გაგიხდეს.

ატყდა ერთი ჩოჩქოლი და აყალ-მაყალი. სად იყო და სად არა, პატრულიც გამოჩნდა, მოჩხუბრები ჩასხა მანქანაში და პარლამენტისკენ მოუსვა.

— აქ რატომ მოგვიყვანეთ, თქვენ, ეტყობა, ნაცნობ პარლამენტარებში შეგეშალეთ, — სცადეს თავის დაძვრენა დაკავებულებმა.

— არხეინად ბრძანდებოდეთ, ჩვენ არაფერი გვეშლება, — იყო პასუხი, — პარლამენტში აბრძანდით და იქ რამდენიც გენებოთ, უჯახუნეთ თავები. ამ ორი დღის წინათ ქალაქის საკრებულოშიც დეპუტატებმა კინაღამ ერთმანეთი დახოცეს, მაგრამ არ ჩავრეულვართ. ჩვენ მხოლოდ ქუჩაში ვიცავთ წესრიგს, ზემოთ რაც ხდება, იმაზე თავად ზევითები აგებენ პასუხს.

ოთარ ხუციშვილი

ხსოვნა

ნიკო ხუციშვილი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ნიკო ხუციშვილი — ნიჭიერი და სამომავლო გეგმებით აღსავსე მეცნიერი. იგი გამოირჩეოდა შინაგანი არისტოკრატიზმით, სულგრძელობით, არაჩვეულებრივად გაფაქიზებული კოლეგიალობის გრძნობით. ნიკო ხუციშვილი წლების მანძილზე ქართული ხელნაწერების ისტორიას იკვლევდა, სწავლობდა იერუსალიმის ქართული სავანეების მიწათმფლობელობას; ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებას. მისი ავტორობით მომზადდა არაერთი პროექტი, რომელიც მიზნად ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა კომპიუტერული ბაზების შექმნასა და მათ საერთაშორისო ქსელში ჩართვას ისახავს.

ნიკო ხუციშვილის წუთისოფლიდან უდროოდ გასვლა მისი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და კოლეგებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია.

ხელნაწერთა ინსტიტუტი

ვალერიან ბენიძე



მოულოდნელად კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება და მოღვაწე დააკლდა ქართულ ისტორიულ მეცნიერებას და საზოგადოებრიობას. გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ომის, შეიარაღებული ძალებისა და შრომის ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, სხვადასხვა აკადემიის აკადემიკოსი ვალერიან ბენიძე.

საქმიანობის და მოღვაწეობის ყველა სფეროში თუ თანამდებობაზე — პედაგოგად და პროფესორად, განყოფილების გამგედ, კათედრის გამგის მოადგილედ, ჟურნალის მთავარ რედაქტორად, პრორექტორად თუ დირექტორად მუშაობის პერიოდში ვალერი ბენიძე ავლენდა ღრმა პროფესიონალიზმს, უზადო პატიოსნებას, თავმდაბლობასა და გულისხმიერებას.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ მის სახელს უკვდავყოფს მისი ინიციატივით და თავკაცობით ცაგერის რაიონის სოფელ ზუბში აგებული წმინდა გიორგის სახელობის გუმბათოვანი ეკლესია. სწორედ აქ, მის ეზოში დაიდებს სამუდამო სავანეს ვალერი ბენიძე — ნათელი სახის პიროვნება, მოქალაქე და მოღვაწე. შესანიშნავი აღმზრდელი, კოლეგა და მეგობარი, გულისხმიერი ბაბუა და მეუღლე.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

ზურაბ ციტაიშვილი

მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს კოლექტივი დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მთავარი სამმართველოს ხაზობრივი ობიექტების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზურაბ იაგორის ძე ციტაიშვილი.

დიდებული ადამიანი, ბრწყინვალე სპეციალისტი, სამაგალითო მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე და მამა უეცრად გამოეცალა ოჯახს, საყვარელ საქმეს, ახლობლებს... უსაზღვროა მათი მწუხარება.

ზურაბი დაიბადა ქალაქ თბილისში 1934 წელს, 1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი და გახდა პროფესიით ინჟინერ-მშენებელი.

ინსტიტუტის დამთავრებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ბატონი ზურაბი ხანგრძლივად და ღირსეულად ემსახურა ქვეყნად მშენებლობის განვითარებისა და სრულქმნის საქმეს.

სამკარისია ვთქვათ, რომ იგი გახლდათ ქვეყნის სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციაში სხვადასხვა რთულ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ბატონი ზურაბი გახლდათ სამუშაოს მწარმოებელი, სამშენებლო უბნის უფროსი, ტრესტის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, სამმართველოს მთავარი ინჟინერი და ა. შ.

ბატონი ზურაბი მუშაობდა ასევე საპროექტო ორგანიზაციებშიც, ამუშავებდა ყველაზე რთულ ობიექტთა პროექტების ხარჯთაღრიცხვებს. გახლდათ ამ საქმის შესანიშნავი მცოდნე და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

მას, როგორც სპეციალისტს ჰქონდა გამორჩეული ნიჭი და უნარი, გაძღოლოდა მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფას.

პირადად კი, ზურაბი გახლდათ მაღალი კულტურის, მაღალი ზნეობის მატარებელი, უწყინარი, უხმაურო, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან გასაოცარ, თბილ, კეთილგანწყობილ, მოკრძალებულ ურთიერთობაში მყოფი... და ცხადია, მას ყველანი ასეთივე გულთბილობით პასუხობდნენ.

იგი თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობის და ბრწყინვალე ადამიანური თვისებების წყალობით, მუდამ სარგებლობდა მშენებლებში დიდი ავტორიტეტითა და დიდი პატივისცემით.

მას ძლიერ უყვარდა თავისი საქმე და პროფესია, აკეთებდა შესაძლებლობების მაქსიმუმს, განსაკუთრებით მშენებლობის ეკონომიკისა და სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფისათვის.

მას უყვარდა ჩვეულებრივი, ადამიანური სიმართლე, მუდამ ჭეშმარიტების მხარეზე იდგა. ყოველთვის უყოყმანოდ შესაშური აუღელვებლობით, პრინციპულობით იცავდა სიმართლეს, ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებს და თანაც, როგორც ზოგჯერ თვითონ იხუმრებდა ხოლმე, იცავდა უბრალო არითმეტიკის სიწმინდესა და ლოგიკურ შეუვალობას.

როგორც ვთქვით, იყო სახარჯთაღრიცხვო საქმის საუკეთესო, უმაღლესი რანგის ექსპერტი, ფლობდა ამ დარგის უდიდეს ცოდნასა და გამოცდილებას.

ვინ მოთვლის ბატონ ზურაბს რამდენი მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხი აქვს ექსპერტიზის ჩატარებისას გარკვეული, სიცხადე მოფენილი და სახელმწიფო ინტერესები დაცული.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ღვაწლი ჯერაც შეფასებას და დაფასებას მოითხოვს. მეგობრებსა და ახლობლებში მისი ნათელი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.

მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს კოლექტივი.

მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს კოლექტივი დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მთავარი სამმართველოს, სახაზო ობიექტების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ბრწყინვალე ინჟინერი და დიდებული მოქალაქე

ზურაბ იაგორის ძე ციტაიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 6, 7 XII 16 სთ, დაკრძალვა 8 XII 14 სთ, მის: ვარკეთილის II მკრ. მე-10 კორ. მე-2 სადარბაზო, მე-7 სართული.

⊙ ანეკდოტები...

სასამართლო ნარკოტიკების გავრცელების საქმეს განიხილავს.

— გვითხარით, გაძლევდათ ბრალდებული ნარკოტიკებს? — ეკითხება მოსამართლე მოწმეს.

— არა.

— არც მის ცოლს მოუცია?

— უკაცრავად, კვლავ ნარკოტიკებზე მეკითხებით?

* * *

ამონაწერი ბრძანებიდან: ლაბორანტ სიდოროვს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური სპირტის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისთვის...

* * *

— **კიდევ** დიდხანს უნდა ვიცადო? — ცხარობს კლიენტი, — უკვე მეათედ შევუკვეთე ბიფშტექსი.

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ათი ბიფშტექსის დასამზადებლად დროა საჭირო!

* * *

— **მართლაც** მაგარი ყოფილა ის კაცი, ვინც ტელეფონი გამოიგონა.

— იქნებ ქალი იყო გამომგონებელი, ქალები ხომ რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ლაყბობენ ტელეფონით.

— სწორედ მაგ რამდენიმე საათით დასვენების მიზნით გამოიგონა იმ კაცმა ტელეფონი.



* * *

ნუ ენდობით რუსულ გუბეებს — ეს შეიძლება მეტროს შესასვლელი იყოს.

* * *

კოკისპირული წვიმა და ჭექა-ქუხილია. მიხო ფარდულში წევს. შემოდის კოლმეურნეობის ბრიგადირი და ეჩხუბება.

— რომ წამოწოლილხარ მეფესავით, საქმე არ გადარდებს? ამ დროისთვის ხეხილი მორწყული არ უნდა გქონდეს?

— როგორ მოვრწყო, კაცო, ვერა ხედავ, როგორა წვიმს?

— მერე წვიმა გიშლის ხელსა? საწვიმარი ლაბადა ხომ გაქვს?

* * *

გენერალი სამხედრო ნაწილს ამოწმებს, ხედავს, შტაბის შენობის შესასვლელთან სიგარეტის ნამწვი აგდია.

— ვისია ნამწვი? — მკაცრად კითხულობს.

თანხმლები ოფიცრები თავჩაქინდრულნი დგანან.

— ვისია ნამწვი? — ფოლადი ერევა გენერლის ხმაში.

კვლავ სიჩუმე.

— ვისია-მეთქი, ნამწვი თქვენი დედაც?!..

— არავისიც არ არის, ბატონო გენერალო, მოწიეთ! — ისმის რომელიღაც ჯარისკაცის გაუბედავი ნათქვამი.

⊙ შევეწიოთ!

სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:



ქუთაისის მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი — 230 ლარი;
მალხაზ ნათენაძე — 10 ლარი;
გიორგი ნადირაძე — 50 ლარი;
გიორგი წილოსანი — 100 ლარი;
აკა, ლიკა, სოფო, მარიამ მიქელაშვილები — 15 ლარი;
ე. ბიბილეიშვილი — 10 ლარი;
ჯ. ხომასურიძე — 10 ლარი;
ი. მელქაძე — 20 ლარი;
ყულაბებიდან — 1058 ლარი.

⊙ განცხადება

იწყება ჟურნალისტთა აკრედიტაცია

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა ა.წ. 5 დეკემბრიდან დაიწყო საქართველოს პარლამენტში 2006 წელს ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განაცხადების მიღება. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის თანახმად (მასობრივი ინფორმაციის საშუალების ოფიციალურ ბლანკზე მისი ხელმძღვანელის თანდართული ხელმოწერით).

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების მიზნით, განაცხადში მითითებულ უნდა იქნეს აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატები, კერძოდ, პირადი და ბინის ტელეფონები.

განაცხადების მიღება მიმდინარეობს ა.წ. 5 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

საააკრედიტაციო ბარათების გაცემა — 2 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
99-00-00, 99-99-62.

საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.

⊙ ვაიმე, ენავ!

ნუ „შემეწინააღმდეგებით"!

5 დეკემბერია, ორშაბათის დილა, ვზივარ ტელევიზორთან, „ადრეს" სამ წამყვან ახალგაზრდა ქალბატონს შევცქერი და ვუსმენ, თან ჩემთვის ჩუმად ვამბობ — რა ლამაზები ხართ (ისე, დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რატომ ამჯობინეს „ადრე" ან „მთავარი" ძველ, კეთილ „ალიონსა" და „მოამბეს". ნუთუ რეფორმები უხეირო (ჩემი აზრით) გადარქმევებითაც გამოიხატება?..). ვუსმენ-მეთქი და, ამ დროს ერთი მიმართავს მეორეს და მესამეს — აი, მე ინტერნეტში დავრეგისტრირდი, თქვენც გირჩევთ დარეგისტრირებას (თუ რაღაც ამდაგვარი).

დიახ, დარეგისტრირება ახლა ტელეეკრანზე ერთ-ერთი ყველაზე მოდური და „ხმარებადი" სიტყვაა და „ვისაა და რასაა", რომ არ არეგისტრირებდნენ. ჰოდა, ვფიქრობ: ასეთი ლოგიკითა თუ მიდგომით, სიტყვა „ემიგრაცია" რომ ავილო, ავდგე და ემიგრაციაში წავიდე, რა, შემიძლია თქმა, უკვე დავემიგრირდი-მეთქი? „მიგრაცია" რომ გამოვიყენო, შემიძლია თქმა — ბევრი ქართველი თურქეთში დამიგრირდა-მეთქი?

პოლიტიკური ლოზუნგის მოსროლა რომ მოვიწადინო, შემიძლია, მაგალითად, მოწოდება — სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ დავკონცენტრირდეთ-მეთქი? მოდურ ატესტასციას რომ გადიან ამა თუ იმ უწყების თანამშრომლები, ნეტავ თუ ეკითხებიან ერთმანეთს — შენ უკვე დაატესტადდიო?..

ასევე „შემოგრიალდა" ნოვატორული ზმნა „შეეწინააღმდეგა". „დარეგისტრირდას" და „შეეწინააღმდეგას" მე ორ-ორი სიტყვით გამოვთქვამდი: „რეგისტრაცია გაიარა" და „წინააღმდეგობა გაუწია", ან, მეორე შემთხვევაში — დაუპირისპირდა, შეედავა, შეეკამათა...

ორში ერთი გზა უნდა ავირჩიოთ: ან მეტყველების დამახინჯების ფასად ლაპარკის „ეკონომიაზე" გადავიდეთ (ორი სიტყვის მაგიერ ერთი ვიხმაროთ, ოღონდ არასწორად), ან ორი სიტყვა მართებულად დავაწყვილოთ. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევებში მთავარი მაინც სწორმეტყველებაა („განსაცვიფრებლად არის მთავარი"!).

... ამასობაში „ადრეს" აქციაც დამთავრდა და სამი მომხიბვლელი ტელეგოგონაც ეკრანიდან წააქცირდა!.. ალბათ სადმე გემრიელად „წაუსნიკერსებენ"...

თამაზ ეგანოიძე

⊙ სხარტულა

ცემაი საკვირველი

იმ დღეს უნდა განეხილათ ბიუჯეტი,
ტელევიზორს გულისყურით მივუჯექი,
ორმეტრიან დისტანციის დაცვით;
თუმცა მერე, ერთმანეთს რომ დაცხეს —
უფრო შორსაც გავიჩოჩე სკამი:
მეც არ მომწვდეს-მეთქი წიხლის კვალი...

* * *

ვაი შენს პატრონს, დიდხელფასა საკრებულო,
გინებით და მუშტი-კრივით აკლებულო!..
როგორ გახდა ეს ქალაქის სათათბირო
საწიხლე და სათავპირო...

თამაზ ილმელი.

შვილები ზიგურდ და ზურაბ ზურაბაშვილები, რძლები ლანა ნუცუბიძე, ლალი ზურაბაშვილი, ირინა ბოჭორიშვილი და ხათუნა კობახიძე, შვილიშვილები აპი (ავლიპი), დათო, ლეკა (ელენე) და გიორგი ზურაბაშვილები, შვილთაშვილები, სიძე თამაზ გეგეშიძე, იანა და თემურ ჩოჩიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდედა, ავლიპი ზურაბაშვილის მეუღლე

ელენე (ლიუსი)
ზურაბაშვილი-ლუნდ

გამოსვენება 6, XII, სამშაბათს 14 საათზე, ი. აბაშიძის 50, IV სადარბაზო, IV სართული.

დაკრძალვა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმის აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის მეუღლე

ელენე ზურაბაშვილი

პანაშვიდი 4, 5 XII 16 სთ, დაკრძალვა 6 XII 14 სთ, დიდუბის პანთეონში. მის: ქ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის 50, IV სადარბაზო, IV სართული.

ავთანდილ და დალი ჭაჭუები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი სტომატოლოგის, შესანიშნავი მეუღლის, დედის და ბებიის

ბაბულია სოლომონია-ხურცილავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მადლენ წულაძე შვილებით პარიზიდან თანაუგრძნობს ნანა კარტოზიას, თემურ დიასამიძეს, ნუცა წულაძეს მძახლის

მელიტა იოსელიანის

გარდაცვალებას.

მეუღლე — თამაზ თხელიძე, შვილები გია, ქეთინო სოფო თხელიძეები, რძალი — ქეთევან კალანდაძე. სიძეები გელა ქამხაძე, ზურა არჩვაძე, შვილიშვილები შალვა წიწავა, თამაზ და კახა თხელიძეები, ნათია ქამხაძე და ლუკა არჩვაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია სერგოს ასული მეკოკიშვილი-თხელიძე

პანაშვიდი 6, 7 XII 16 სთ, დაკრძალვა 8, XII 14 სთ. მის: ნუცუბიძის II პლატო, წმინდა სამების ეკლესიიდან.

გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტაფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.



ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი **თენგიზ კალანდაძე.**
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ელგუჯა ლეგანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.